

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი  
სამაგისტრო პროგრამა კერძო სამართალში



მარიამ ფუტყარაძის  
სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

**ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე და  
მისი ბოროტად გამოყენების ფორმები**

თემის ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი გიორგი სვანაძე

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

ნაშრომი წარმოდგენილია კერძო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

თბილისი

2019

## სარჩევი

ნაშრომში გამოყენებულ აბრევიატურათა ნუსხა .....	3
შესავალი .....	4
1. ნაწილი .....	5
ქართული კონკურენციის სამართლის განვითარება ისტორიულ ჭრილში .....	5
2. ნაწილი .....	9
დომინირებული მდგომარეობის ამკრძალავი დებულებები შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში .....	9
§1. შერმანის აქტის მეორე სექცია.....	9
A. ბაზრის მონოპოლიზაცია .....	11
B. შესაბამისი ბაზარი.....	13
§ 2. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 102-ე მუხლი.....	15
A. ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკური აგენტების ჯგუფი .....	16
B. დომინირებული მდგომარეობა.....	19
C. დომინანტობის ტესტი .....	21
D. შესაბამისი ბაზარი .....	24
E. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.....	29
3. ნაწილი .....	31
დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული ფორმები .....	31
§ 1. მტაცებლური ფასის დაწესება .....	31
§ 2. ექსკლუზიური გარიგება და ფასდათმობები .....	35
§ 3. მიზმა, დაწყვილება.....	39
§ 4. მიწოდებაზე უარი.....	42
4. ნაწილი .....	45
სანქციები კონკურენციის შემზღვეველი ქმედებისთვის.....	45
5. ნაწილი .....	48
სამომავლო გამოწვევები და ქართულ კანონმდებლობაში გასახორციელებელი ცვლილებები .....	48
დასკვნა.....	51
ბიბლიოგრაფია .....	54

## ნაშრომში გამოყენებულ აბრევიატურათა ნუსხა

იხ. - იხილეთ;

სააგენტო - სსიპ კონკურენციის სააგენტო;

ასოცირების შესახებ შეთანხმება - ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის;

CJEU (ECJ) - ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო (Court of Justice of the European Union);

TFEU - ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმება (Treaty on the Functioning of the European Union).

*“Antitrust laws ... are the Magna Carta of free enterprise. They are as important to the preservation of economic freedom and our free-enterprise system as the Bill of Rights is to the protection of our fundamental personal freedoms.”*  
(United States v. Topco Associates Inc.)<sup>1</sup>

## შესავალი

კონკურენციის არსებობა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია. კონკურენცია ხელს უწყობს ინოვაციას, პროდუქციის ხარისხის ზრდას, ინვესტიციების მოზიდვასა და ბაზრის ერთიანობას, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება მომხმარებლის კეთილდღეობას.

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმრავლესობა ითვალისწინებს შესაბამის საკანონმდებლო ბაზას, რომელიც, ბაზარზე თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის დაცვის მიზნით კრძალავს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას<sup>2</sup>.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა არის კონკურენციის კანონმდებლობის ერთ-ერთი საზომი, რომელიც წარმოადგენს მის ფუნდამენტურ მიმართულებას. ბაზარზე ეკონომიკური აგენტების რეგულირება ემსახურება დომინირებული მდგომარეობის მქონე საწარმოების მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონკურენციის იმგვარად დამახინჯების თავიდან აცილებას, რომელიც საზიანოა სხვა საწარმოებისა და მომხმარებლებისათვის<sup>3</sup>.

ადგილობრივ ბაზარზე საკითხი პრობლემურია, რამდენადაც, სამართლებრივი ცნობიერების ხარისხი დაბალია, როგორც საზოგადოებაში, ასევე პროფესიულ წრეებში. სამართლებრივი მოწესრიგებისა და საკითხის მარეგულირებელი ორგანოს - კონკურენციის სააგენტოს არსებობის მიუხედავად, როგორც

<sup>1</sup> United States v. Topco Assocs., Inc., 405 U.S. 596, 1972.

<sup>2</sup> OECD’s Report on Abuse of Dominance and Monopolisation, Paris, 1996, 35, ხელმისაწვდომია: <<http://www.oecd.org/competition/abuse/2379408.pdf>>; [06/07/2019].

<sup>3</sup> გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი №5, 2018, 5.

ქართულენოვანი ლიტერატურა, ასევე პრაქტიკა საკმაოდ მწირია, რაც, ხშირად, ქართულ რეალობაში, კონკურენციის სამართლის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, კონკურენციის, როგორც სამართლის დარგის, განვითარებაში წვლილის შეტანა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მიმოხილვა, კერძოდ:

- როგორ განიმარტება სხვადასხვა იურისდიქციის ქვეშ დომინირებული/მონოპოლიური მდგომარეობა;
- რა ფარგლებში მიიჩნევა დომინირებულ მდგომარეობაში ყოფნა აღნიშნული პოზიციის ბოროტად გამოყენებად;
- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული სახეები;
- ქართული კონკურენციის სამართლის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები.

ზემოაღნიშნული საკითხების დეტალურად გაცნობის მიზნით, ნაშრომის ფარგლებში განხილულ იქნება საქართველოს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონკურენციის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. აღნიშნულ ორ უცხოურ კანონმდებლობაზე ყურადღება გამახვილდება, როგორც კონკურენციის სამართლის წამყვან იურისდიქციებზე, რომლითაც, როგორც წესი, ხელმძღვანელობს საქართველოს კონკურენციის სააგენტო. დასახული მიზნის მისაღწევად, კვლევაში გამოყენებულ იქნება, როგორც ნორმათა გენეტიკურ-ისტორიული, სისტემური, ლოგიკური და ტელეოლოგიური, ასევე, დოგმატური, ანალიტიკური კვლევისა და შედარების მეთოდები.

## 1. ნაწილი

### ქართული კონკურენციის სამართლის განვითარება ისტორიულ ჭრილში

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველო თანამშრომლობს ევროპის კავშირთან, რაც, ქართულ კანონმდებლობას ავალდებულებს კონკურენციის სამართლის ნორმები მიუსადაგოს ევროპის გაერთიანების შესაბამის ნორმებს.

2014 წელს ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის

გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლის საფუძველზეც,<sup>4</sup> საქართველომ აიღო ვალდებულება გააჩნდეს „ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები“, რომელიც „ეფექტიანად იქნება მიმართული დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე“<sup>5</sup>.

აღებული ვალდებულების მნიშვნელობის მიუხედავად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში უკანასკნელი ცვლილებები 2014 წლით თარიღდება<sup>6</sup>, რაც, ბუნებრივია, ევროკავშირის მოთხოვნებთან ქართული კანონმდებლობის შესაბამისობის საკითხს კიდევ უფრო ეჭვქვეშ აყენებს.

კონკურენციის შეზღუდვის აღკვეთისკენ მიმართულ ღონისძიებებს ქართული კანონმდებლობა 90-იანი წლების დასაწყისიდანვე იცნობს.<sup>7</sup> საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1992 წელს მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული მმართველობის სისტემის შენარჩუნების ცდებისა და მონოპოლიზაციური სტრუქტურების აღკვეთას.<sup>8</sup>

თავდაპირველმა მცდელობამ, შექმნილიყო ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა<sup>9</sup>, უშედეგოდ ჩაიარა, თუმცა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში სიტუაცია რადიკალურად

---

<sup>4</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11.09.2014, < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0> >.

<sup>5</sup> იქვე, მუხლი 204(1).

<sup>6</sup> საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 27/03/2014, < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2294894?publication=0> >.

<sup>7</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 392, ხელმისაწვდომია: < [http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWijZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWijZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4) > [07/07/2019].

<sup>8</sup> იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №50 (323), 1992, ხელმისაწვდომია: < <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50--20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.11&d=HASHc1a6dcdf3c672c2602da12> > [07/07/2019].

<sup>9</sup> მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი, 1996, ხელმისაწვდომია: < <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3> >.

შეიცვალა. იმდროინდელმა ხელისუფლებამ მიიღო „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ახალი კანონი. ცვლილების უმთავრეს მიზნად კი დასახელდა პატარა ბაზარზე დამატებითი რეგულაციების არსებობის უსარგებლობა.<sup>10</sup>

მიღებული კანონი სრულიად განსხვავდებოდა მსოფლიოში დადგენილი ანტიმონოპოლიური სტანდარტებისგან და არ მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან დანაწესებს, როგორცაა კარტელური შეთანხმებები, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, საწარმოების შერწყმა. იგი მხოლოდ სახელმწიფო დახმარების პრობლემას არეგულირებდა.<sup>11</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ კონკურენციის სამართლის განვითარება გაგრძელდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ და აქტიურად დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. აღნიშნული მოლაპარაკება 2014 წლის 27 ივნისს დასრულდა ევროკავშირსა (EU) და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებით<sup>12</sup>.

ასოცირების შესახებ შეთანხმების 204-ე მუხლი საქართველოს ავალდებულებს იქონიოს ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონმდებლობა, რომელიც ეფექტურად დაარეგულირებს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებს, შეთანხმებულ ქმედებებს და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ქმედებებს და რომელიც განახორციელებს ეკონომიკური აგენტების შერწყმების ეფექტურ კონტროლს.<sup>13</sup> საქართველო ასევე ვალდებულია შექმნას კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.

---

<sup>10</sup> მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 5.

<sup>11</sup> საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/29644?publication=6>>.

<sup>12</sup> „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი, თბილისი, 2014, 20, ხელმისაწვდომია: <<http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf>> [28/06/2019].

<sup>13</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11.09.2014, ხელმისაწვდომია:

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>>, [06/07/2019], მუხლი 204(1).



ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ საქართველო ახალი რეალობის წინაშე დააყენა. საინტერესოა იმის გაგება, თუ რამდენადაა მზად ქვეყანა ამ გამოწვევებისთვის.

დღეს მოქმედი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში შევიდა 2012 წლის ივლისში და მის საფუძველზე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კონკურენციის სააგენტო შეიქმნა. კანონი განსაზღვრავს, რომ „სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.“<sup>14</sup>

საინტერესოა რომელი კანონმდებლობის მოდელს ეფუძნება ქართული კონკურენციის სამართალი. სადავო საკითხთან მიმართებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს, კერძოდ, ერთი შეხედვით, აშკარაა ევროკავშირის სამართალთან ტერმინოლოგიური და ძირითადი პრინციპების მსგავსება, თუმცა განსხვავებული მიდგომებისთვის ადგილი მაინც რჩება. მაგალითისთვის, ქართულ კანონში გათვალისწინებული სანქცია-ჯარიმები, პროცედურული თავისებურებები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სააგენტოს სარეკომენდაციო როლი დამახასიათებელია მხოლოდ ქართული კონკურენციის სამართლისთვის.<sup>15</sup>

კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა მეტად ემსგავსება ამერიკულს, ვინაიდან ზღუდავს ისეთ ქმედებებს, რომელიც ბაზარზე წარმოშობს მონოპოლიურ მდგომარეობას ან, მონოპოლიზაციისკენ სწრაფვას, და იყენებს ამ ტერმინს აშშ-ის კანონმდებლობისეული გაგებით. კიდევ ერთი მსგავსება უკავშირდება ჰორიზონტალური შეთანხმებების აკრძალვას, რაც შეერთებულ შტატებში ვაჭრობის შემზღვეველი შეთანხმებების სახელით არის ცნობილი. მესამე, მსგავსება აღსრულების მექანიზმში მდგომარეობს, რომელიც

---

<sup>14</sup> გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი №5, 2018, 29.

<sup>15</sup> იქვე.



მსგავსია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ანტიმონოპოლიური განყოფილების შეწყალების პროგრამისა.<sup>16</sup>

ქართული კონკურენციის სამართალი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით აგებულია ევროკავშირის ანტიმონოპოლიურ ნორმებზე და რიგ შემთხვევებში უფრო ვრცლადაც კი განმარტავს მათ. მაგალითისთვის, თუკი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 102-ე მუხლი არ მოიცავს ისეთი ტერმინების განმარტებას, როგორცაა ეკონომიკური აგენტი, ურთიერთთანაცვლებადი საქონელი და მომსახურება, შესაბამისი ბაზარი, დომინირებული მდგომარეობა და სხვა, საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“, მათი დეტალური დეფინიციაა მოცემული. ნაშრომის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონკურენციის სამართლის მიმოხილვა და ქართული კანონდებლობის მათთან შესაბამისობის დადგენა.

## 2. ნაწილი

### დომინირებული მდგომარეობის ამკრძალავი დებულებები შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში

#### §1. შერმანის აქტის მეორე სექცია

ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტიტრასტული კანონმდებლობა დასაბამს იღებს 1890 წლიდან, შერმანის აქტის მიღებით, რომლითაც ვაჭრობის შეზღუდვისა და ბაზარზე მონოპოლიის შექმნის მცდელობისთვის, ფულად სანქციასთან ერთად, დაწესებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მიიჩნევა, რომ აღნიშნული სექცია ყველაზე მეტად განსხვავდება ევროპული მოწესრიგებისაგან, შესაბამისად, ნაშრომის მიზნებისთვის საინტერესო და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს<sup>17</sup>.

<sup>16</sup> კრეინერ რ. მ., შეერთებული შტატებისა და საქართველოს კონკურენციის სამართლის შედარებითი ანალიზი: ცალმხრივი აქტებისა და ჰორიზონტალური შეთანხმებების რეგულირება პროგნოზირებადი წესებისა და ეფექტური აღსრულების მეშვეობით, ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, 2014, 55-56, ხელმისაწვდომია < <http://bit.ly/2s8pIjw>>, [07/07/2019].

<sup>17</sup> Diane P. Wood, "The U.S. Antitrust Laws in a Global Context, Columbia Business Law Review, 2004, 272,

ხელმისაწვდომია:<[https://chicagounbound.uchicago.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3065&context=journal\\_articles](https://chicagounbound.uchicago.edu/cgi/viewcontent.cgi?article=3065&context=journal_articles)> [28/06/2019].

შერმანის აქტის მეორე სექცია გამოყოფს ანტიტრასტული<sup>18</sup> კანონმდებლობის დარღვევის სამ ძირითად სახეს: „მონოპოლიზაცია“, „მონოპოლიის მოპოვების მცდელობა“ და „კონსპირაცია მონოპოლიზაციის მიზნით.“<sup>19</sup> აღსანიშნავია, რომ მეორე სექცია ეხება მხოლოდ ერთი საწარმოს მიერ მონოპოლიის შექმნას, ან მსგავსი მონოპოლიური ძალაუფლების ერთი საწარმოს ხელში მოქცევის მაღალ ალბათობას, რაც განასხვავებს მას შერმანის აქტის პირველი სექციისგან. ეს უკანასკნელი, ვაჭრობისა და კომერციის შეზღუდვად მოიაზრებს ორი ან მეტი საწარმოს ერთობლივ მოქმედებას.<sup>20</sup>

სასჯელს აღნიშნული დანაშაულისთვის პირდაპირ ითვალისწინებს შერმანის აქტის მეორე სექცია, რომლის მიხედვითაც, სანქცია განისაზღვრება: იურიდიული პირის შემთხვევაში არა უმეტეს 10,000,000, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში 350,000 აშშ დოლარით, პატიმრობით არა უმეტეს სამი წლის ვადით ან კომბინირებულად ორივე სასჯელით, მოსამართლის დისკრეციის შესაბამისად<sup>21</sup>.

აშშ-ის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ასევე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია კლეიტონის აქტი, რომელიც მიღებულ იქნა შერმანის აქტის შემდგომ 1914 წელს. აღნიშნული ყურადღებას ამახვილებს ისეთი ტიპის გაერთიანებზე, რომლებიც ზღუდავს ბაზარზე კონკურენციას. აქტის მოქმედების ძირითადი ფარგლები მოიცავს ჰორიზონტალური ტიპის გაერთიანებებს.<sup>22</sup>

---

<sup>18</sup> Antitrust Law, ქართულ ლიტერატურაში მოიხსენიება ორგვარად, როგორც „ანტიტრასტული“, ასევე „ანტიმონოპოლიური“ სამართალი. აღნიშნული გამოწვეული უნდა იყოს ქართული კონკურენციის სამართალში ამერიკული და ევროკავშირის სამართლის ელემენტების აღრევით.

<sup>19</sup> 1 ABA Section of Antitrust Law, American Bar Association, Antitrust Law Developments, 6th ed. 2007, 317.

<sup>20</sup>MHRD Project under its National Mission on Education through ICT , Abuse of Dominant Position in US and EU, New Delhi, 3, ხელმისაწვდომია: <[https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp\\_content/law/03\\_competition\\_law/18\\_abuse\\_of\\_dominant\\_position\\_in\\_us\\_and\\_eu\\_/et/5657\\_et\\_18et.pdf](https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp_content/law/03_competition_law/18_abuse_of_dominant_position_in_us_and_eu_/et/5657_et_18et.pdf)> [05/07/2019].

<sup>21</sup>დამატებით იხ. შერმანის აქტის სრული ტექსტი < [http://www.linco.org/sherman\\_txt.html](http://www.linco.org/sherman_txt.html) > [07/07/2019].

<sup>22</sup> ლექვინაძე ი., ეკონომიკური პოლიტიკის და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გავლენა კონკურენციაზე საქართველოში, თბილისი, 2015, 76, ხელმისაწვდომია: <<https://iliauni.edu.ge/uploads/other/33/33280.pdf> >, [07/07/2019].

მონოპოლია ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად აღიქმება, ვინაიდან, ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია ფასების უკონტროლო ზრდასთან და ყველაზე მეტად აზიანებს მომხმარებელს.

#### A. ბაზრის მონოპოლიზაცია

მონოპოლია ამერიკაში განიმარტება, როგორც ფასების კონტროლისა და კონკურენციის გამორიცხვის ძალაუფლება. აღნიშნული ორი კრიტერიუმი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ მონოპოლიზაციის დადგენისას კომბინირებულად განიხილება<sup>23</sup>. ევროკავშირის მიდგომისგან განსხვავებით, სადაც დომინირებული მდგომარეობის დადგენისთვის სასამართლო დირექტივებით ხელმძღვანელობს, ამერიკაში მონოპოლიის დადგენა ძირითადად საკასაციო და საოლქო სასამართლოების ინტერპრეტაციის საფუძველზე ხორციელდება<sup>24</sup>.

ამერიკის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მონოპოლიზაციის ფაქტის დადგენისთვის აუცილებელია მოპასუხე ფლობდეს მონოპოლიურ ძალაუფლებას, რომელიც შეძენილი, გაზრდილი ან შენარჩუნებულია გამომრიცხავი ქმედების<sup>25</sup> (Exclusionary Conduct) შედეგად<sup>26</sup>.

მონოპოლიზაციის ფაქტს ამერიკული სასამართლო ორეტაპიანი სქემით ადგენს. პირველ რიგში, მოწმდება ფლობს თუ არა კომპანია „მონოპოლიურ ძალაუფლებას“, მხოლოდ აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაშია შესაძლებელი საქმის შემდგომი შესწავლა. მონოპოლიური ძალაუფლება

---

<sup>23</sup> MHRD Project under its National Mission on Education through ICT , Abuse of Dominant Position in US and EU, New Delhi, 3, ხელმისაწვდომია: [https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp\\_content/law/03\\_competition\\_law/18\\_abuse\\_of\\_dominant\\_position\\_in\\_us\\_and\\_eu\\_/et/5657\\_et\\_18et.pdf](https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp_content/law/03_competition_law/18_abuse_of_dominant_position_in_us_and_eu_/et/5657_et_18et.pdf) [05/07/2019].

<sup>24</sup> Frank H. Easterbrook, Vertical Arrangements and the Rule of Reason, Vertical Restraints: Part II 53 Antitrust Law Journal 135 (1984) Journal of Reprints for Antitrust Law and Economics, Vol. 20, Issue 2 (1990), pp. 381-422, 135.

<sup>25</sup> გამომრიცხავი ქმედება (Exclusionary conduct) - გულისხმობს ეკონომიკური აგენტების ქმედებას, რომელიც, კონკურენტებისთვის ზიანის მიყენებისა და მათი არახელსაყრელ პირობებში ჩაყენების გზით, ქმნის ან ინარჩუნებს მონოპოლიურ ძალაუფლებას.

<sup>26</sup> Rudman D., Ostrovsky S., Dominance test: a superfluous jurisdictional hurdle?, South Africa, 2010, 6, ხელმისაწვდომია: <http://www.compc.com.co.za/wp-content/uploads/2014/09/article-dominance-test.pdf>, [07/07/2019].

ტრადიციულად განიმარტება როგორც კომპანიის შესაძლებლობა აკონტროლოს ფასები ან შეზღუდოს კონკურენცია შესაბამის ბაზარზე<sup>27</sup>.

დღესდღეობით გამოთქმებს - „საბაზრო ძალაუფლება“ და „მონოპოლიური ძალაუფლება“ სასამართლო იყენებს როგორც ურთიერთჩანაცვლებად ტერმინებს.<sup>28</sup> იმის გათვალისწინებით, რომ ფასების კონტროლისა და კონკურენციის შეზღუდვის პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება პრაქტიკაში უფრო და უფრო რთულდება, მონოპოლიზაციის ფაქტის დადასტურებისთვის, ამერიკული სასამართლოები, ძირითადად, არაპირდაპირ მტკიცებულებებს ეყრდნობიან, როგორცაა ეკონომიკური აგენტის წილი შესაბამის ბაზარზე, ბაზარზე შესვლისთვის არსებული ბარიერები, ბაზრის სტრუქტურა და მახასიათებლები.<sup>29</sup>

იმის მიუხედავად, რომ საბაზრო წილის განსაზღვრით იწყება ეკონომიკური აგენტის მონოპოლიური მდგომარეობის დადგენა, აღნიშნული არ წარმოადგენს ერთადერთ ფაქტორს. შერმანის აქტის მეორე სექციის ქვეშ მონოპოლიზაციის განმარტება ყოველთვის ერთგვაროვანი არ ყოფილა. 50-60-იანი წლების ბოლოს აშშ-ს უზენაესი სასამართლო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიზნად „მცირე და საშუალო ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და მოქმედების თავისუფლებას“ ასახელებდა. 1970-იანი წლების დასაწყისში, ჩიკაგოს სკოლის მეცნიერთა და ფილოსოფოსთა გავლენით, სახელმძღვანელო პრინციპის ინტერპრეტაცია განხორციელდა და ანტიტრასტული კანონმდებლობის უმთავრეს მონაპოვრად ეკონომიკური ეფექტურობა იქცა.<sup>30</sup>

საქმეზე *United States v. Grinell Corp.* აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ უკანონო მონოპოლიზაცია მოიცავდა ორ ძირითად ელემენტს:

- მონოპოლიური ძალაუფლების ფლობას შესაბამის ბაზარზე; და

<sup>27</sup> Lexstat 1-2 Antitrust Law Developments, Chapter 2: Monopolisation and related offences ALD 6 Treatise at 2B, მაგალითისთვის ასევე იხ. *ex rel. Hartigan v. Panhandle E. Pipe Line Co.*, 730 F. Supp. 826, 902 (C.D. Ill. 1990) (quoting *American Tobacco*), *aff'd sub nom. Illinois ex rel. Burris v. Panhandle E. Pipe Line Co.*, 935 F.2d 1469 (7th Cir. 1991).

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> იქვე 2B[2][a].

<sup>30</sup> OECD's Report on Abuse of Dominance and Monopolization, Paris, 1996, 36, ხელმისაწვდომია: <<http://www.oecd.org/competition/abuse/2379408.pdf>>; [27/06/2019].

- თვითნებურ შექმნას ან იმ ძალაუფლების შენარჩუნებას, რომელიც განსხვავდება „უპირატესი პროდუქტის გამოგონების შედეგად მიღებული ზრდის, განვითარების ან ისტორიული შემთხვევისგან.“<sup>31</sup>

## B. შესაბამისი ბაზარი

სასამართლოები არანაკლებ ყურადღებას აქცევენ ფლობს თუ არა ეკონომიკური აგენტი შესაბამის ბაზარზე საბაზრო ძალაუფლებას ზუსტად განსაზღვრულ პროდუქტთან და გეოგრაფიულ ბაზართან მიმართებით.<sup>32</sup> შესაბამისი ბაზრის დადგენა გადამწყვეტია მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრისას, ვინაიდან, ბოლო წლების პრაქტიკის მიხედვით, ბაზარზე 90%-იანი წილის ფლობა საკმარისია მონოპოლიის არსებობის დასადგენად, ხოლო 70%-ზე დაბალი საბაზრო წილის შემთხვევაში, სასამართლო იშვიათად ადგენს მონოპოლიზაციის ფაქტს.<sup>33</sup>

შესაბამისი ბაზრის დადგენის მნიშვნელობამ თავის პიკს მიაღწია 1964 წელს მიღებული გადაწყვეტილებით საქმეზე *United States v. Aluminum Co. of America*<sup>34</sup> და *United States v. Continental Can Co.*<sup>35</sup> სარჩელები წარადგინეს კლეიტონის აქტის მეშვიდე სექციის ქვეშ და ორივე მათგანის განხილვისას დარღვევის დასადგენად გამოყენებულ იქნა პროდუქციული ბაზრის დეფინიცია.<sup>36</sup>

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჰენდმა შესაბამისი პროდუქციის ბაზრის განმარტებისას ურთიერთჩანაცვლებადობის წესი გამოიყენა 1945 წელს და ფიზიკურად განსხვავებული პროდუქციის გამორიცხვის მიზნით ბაზარი ვიწროდ განმარტა. საქმეზე *United States v. Aluminum Co. of America* მოსამართლის დასკვნაში აღნიშნულია, რომ პირველადი ალუმინის ძეგლავი თავისთავად ეკუთვნის განცალკევებულ ბაზარს და სრულად განსხვავდება მეორადი

<sup>31</sup> *United States v. Grinnell Corp.*, 384 U.S. 563 (1966), პარ. 570-571.

<sup>32</sup> *U.S. v. E.I. du Pont de Nemours & Co.* 351 U.S. 377 (1956).

<sup>33</sup> ცნობილ საქმეზე *Alcoa*, მოსამართლე Learned Hand-მა განსაზღვრა, რომ 90%-იანი საბაზრო წილის ფლობა „საკმარისია მონოპოლიის დასადგენად, სადავოა, რამდენად საკმარისია 60%-იანი ან 64%-იანი წილი, თუმცა ცხადია რომ 33%-იანი წილი არ ქმნის მონოპოლიის შემთხვევას. *U.S. v. Aluminum Co. of America*, 148 F2d 416, 1945.

<sup>34</sup> *United States v. Aluminum Co. of America*, 377 U.S. 271 (1964).

<sup>35</sup> *United States v. Continental Can Co.*, 378 U.S. 441 (1964).

<sup>36</sup> Werth, Robert W., *Determination of the Relevant Product Market*, *Ohio State Law Journal*, vol. 26, no. 2 (1965), 241-293, 6, ხელმისაწვდომია: <<https://kb.osu.edu/handle/1811/68769>>, [07/07/2019].

ალუმინის ძელაკისგან, რომლის მიღებაც ალუმინის ნარჩენი ჯართისგან წარმოებს.<sup>37</sup>

განსხვავებული მიდგომა გამოიკვეთა 1953 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე *Times-Picayune Publishing Co. v. United States*.<sup>38</sup> კერძოდ, სასამართლომ დაუშვა შესაძლებლობა ორი ფიზიკურად განსხვავებული პროდუქტი, რომელიც მომხმარებელთა მიერ ურთიერთთანაცვლებად პროდუქციად მიიჩნეოდა ერთი პროდუქციული ბაზრის ფარგლებში მოექცია.

ორი გაზეთი, “Times-Picayune“ და “States“ ეკუთვნოდა ერთ და იმავე კომპანიას, პირველი წარმოადგენდა დილის, ხოლო მეორე საღამოს გაზეთს. გაზეთი “States“ კონკურენციაში იმყოფებოდა საღამოს გამოცემის სხვა გაზეთებთან, მაშინ როდესაც, “Times-Picayune“ წარმოადგენდა ქალაქში ერთადერთ დილის გაზეთს.

მოპასუხე კომპანიის სარეკლამო პოლიტიკის თანახმად, ნებისმიერი სარეკლამო კომპანია, რომელიც რეკლამას დილის გაზეთში განათავსებდა, ვალდებული იყო განათავსებდა განეხორციელებინა იმავე კომპანიის საკუთრებაში არსებულ საღამოს გაზეთშიც. მთავრობამ აღნიშნული ქმედება მიზმად დააკვალიფიცირა, რომელიც არღვევდა შერმანის აქტის 1-ლ და მე-2 სექციებს.<sup>39</sup>

საქმე მნიშვნელოვანია, რამდენადაც სასამართლომ საინტერესოდ განმარტა პროდუქციული ბაზარი. მოპასუხეები აპელირებდნენ, რომ შესაბამისი ბაზარი უნდა მოიცავდეს ყველა ტიპის სარეკლამო მედიას, მათ შორის რადიოს, ტელევიზიას, ჟურნალს, ბილბორდებს და ა.შ.<sup>40</sup> აღნიშნულის საპასუხოდ, მთავრობამ განაცხადა, რომ შესაბამისი ბაზარი სასამართლომ უნდა განიხილოს მხოლოდ დილის გაზეთების ჭრილში.<sup>41</sup> სასამართლომ უარყო ორივე მიდგომა და დაადგინა, რომ შესაბამისი ბაზარი შედგებოდა სამივე გაზეთის სარეკლამო მკითხველთა წრისგან. მართალია სასამართლომ უარი თქვა გაზეთებთან ერთად შესაბამისი პროდუქციის ბაზარში შეეყვანა სხვა სარეკლამო მედია, თუმცა აღიარა

---

<sup>37</sup> *United States v. Aluminum Co. of America*, 377 U.S. 271 (1964).

<sup>38</sup> *Times-Picayune Pub. Co. v. United States*, 345 U.S. 594 (1953).

<sup>39</sup> იქვე, პარ. 345 U. S. 596-628 (1953).

<sup>40</sup> მოსარჩელის ახსნა-განმარტება, *Times-Picayune Publishing Co.*, პარ. 79, *Times-Picayune Publishing Co. v. United States*, 345 U.S. 594 (1953).

<sup>41</sup> მოსარჩელის ახსნა-განმარტება, *United States of America*, პარ. 28-29, *Times-Picayune Publishing Co. v. United States*, 345 U.S. 594 (1953).



გონივრული ურთიერთჩანაცვლებადობის დოქტრინა და გაითვალისწინა მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიკურობა.

## § 2. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 102-ე მუხლი

კონკურენციის სამართლის ნორმები ევროპაში პირველად 1951 წელს გამოჩნდა პარიზის შეთანხმების სახით, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოება. შეთანხმების 65-ე და 66-ე მუხლები ეხებოდა კონკურენციას. 1958 წელს რომის შეთანხმებით შეიქმნა ევროპული ეკონომიკური საზოგადოება. თუმცა, აღნიშნული ნორმების აღსრულება 1962 წლამდე არ მომხდარა.<sup>42</sup>

კონკურენციის სამართალზე საუბრისას მნიშვნელოვანია რომის ხელშეკრულების მესამე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ევროკავშირის საქმიანობა მოიცავს ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს შიდა ბაზარზე კონკურენციის დაუმახინჯებლობას.“

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების დღეს მოქმედი რედაქციის 102-ე მუხლით (1957 წლის რომის ხელშეკრულების ყოფილი 82-ე მუხლი) აკრძალულია ერთი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე, როგორც შეუსაბამო საერთო ბაზართან, თუ მას შეუძლია იმოქმედოს საერთო ბაზარზე და მნიშვნელოვნად შეზღუდოს ვაჭრობა წევრ სახელმწიფოთა შორის. ამავე მუხლის თანახმად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ითვლება:

- ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ, გასაყიდი ან შესაძენი ფასების ან ვაჭრობის სხვა რომელიმე არასამართლიანი პირობის დაწესება;
- ბ) მომხმარებლის საზიანოდ წარმოების, ბაზრების ან ტექნიკური განვითარების შეზღუდვა;
- გ) სავაჭრო პარტნიორებთან არათანაბარი პირობების გამოყენება ერთგვაროვანი გარიგებების შემთხვევაში, რითაც მათ აყენებს არათანაბარ პირობებში კონკურენციის თვალსაზრისით;

<sup>42</sup> მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 17.



დ) ხელშეკრულების წინაპირობად მეორე მხარისათვის ისეთი ვალდებულებების დაკისრება, რომელიც თავისი ბუნებით ან კომერციული დანიშნულებით არ უკავშირდება ხელშეკრულების საგანს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები ზემოთ მოცემული ჩამონათვალის იდენტურია.

სამეცნიერო წრეებში მრავალწლიანი დისკუსიის შედეგად დადგინდა, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 102-ე მუხლი მიზნად არ ისახავს ბაზარზე მოქმედი კონკურენტების დაცვას აგრესიული კონკურენციისგან, ამასთან, სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ ნორმა ემსახურება ისეთი ქმედებების აკრძალვას, რომლებიც ან პირდაპირ ახდენენ მომხმარებლის ექსპლუატაციას, ან ბაზრიდან განდევნიან კონკურენტებს, რითაც არაპირდაპირ ახდენენ უარყოფით გავლენას მომხმარებლის კეთილდღეობაზე.<sup>43</sup>

აღნიშნული გულისხმობს, რომ დასაშვებია დომინირებულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკური აგენტის მიერ ჯანსაღი კონკურენციის შედეგად კონკურენტების ბაზრიდან განდევნა, რაც არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია 102-ე მუხლში გამოყენებული ტერმინების განმარტება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ პრაქტიკით დადგენილი დეფინიციის მაგალითზე. განსახილველ ტერმინთა არასრული ჩამონათვალია: ეკონომიკური აგენტი, დომინირებული მდგომარეობა, შესაბამისი ბაზარი, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

#### A. ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკური აგენტების ჯგუფი

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 102-ე მუხლის სუბიექტები არიან ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკური აგენტების ჯგუფი. ნორმა არ შეიძლება გავრცელდეს სხვა ნებისმიერი ტიპის გაერთიანებაზე, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული სანქციებიც გამოიყენება მხოლოდ ეკონომიკური

<sup>43</sup>აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 398, ხელმისაწვდომია: <[http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWijZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWijZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4) > [07/07/2019], დამატებით იხ. სქოლიო 975.

აგენტების მიმართ.<sup>44</sup> ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმება არ იძლევა განმარტებას თუ რა მოიაზრება ეკონომიკური აგენტის ქვეშ, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სასამართლო პრაქტიკით. ეკონომიკური აგენტის სრულყოფილი დეფინიცია კონკრეტულად ერთ საქმეში არაა მოცემული, რის გამოც მნიშვნელოვანია პრეცედენტული სამართლის გაცნობა.

ევროკავშირის ანტიტრასტული კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე, ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირი, რომელიც წარმოადგენს ამ ბაზარზე საქონლისა და მომსახურების შემთავაზებელს, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა, მიიჩნევა ეკონომიკურ აგენტად. კერძოდ, აუცილებელი არაა არსებობდეს მოგების მიღების განზრახვა, ჩამონათვალი არ გამორიცხავს არც საჯარო დაწესებულებებს. საჯარო დაწესებულებების მიმართ მოქმედებს ე.წ. „ფუნქციური მიდგომა“, რომლის მიხედვითაც, საჭიროა მოხდეს ერთი და იმავე წარმონაქმნის საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის გამიჯვნა ეკონომიკური საქმიანობისაგან<sup>45</sup>.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ საქმეზე C-41/90 განმარტა, რომ „ეკონომიკური აგენტის ცნება მოიცავს ყველა წარმონაქმნს, რომელიც ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში, მიუხედავად მისი სამართლებრივი სტატუსისა და დაფინანსების გზისა.“<sup>46</sup>

საინტერესოა რა მოიაზრება ეკონომიკური აგენტების ჯგუფის ცნებაში. აღნიშნული მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შესაბამის ბაზარზე მოთამაშე რამდენიმე ეკონომიკური აგენტი იმდენად შეთანხმებულად მოქმედებს, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ერთ იურიდიულ პირს წარმოადგენენ.<sup>47</sup>

<sup>44</sup> მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016, 18.

<sup>45</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 7th Ed., Oxford University Press, 2012, 84-85.

<sup>46</sup> საქმე C-41/90, Klaus Höfner and Fritz Elser v Macrotron GmbH., სასამართლოს 1991 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება (მეექვსე პალატა), § 21.

<sup>47</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, თბილისი, 2017, 14, ხელმისაწვდომია: < <http://competition.ge> > [06/07/2019].

საქმეზე T-193/02, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განსაზღვრა სამკომპონენტური ზოგადი ფორმულა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც დგინდება ეკონომიკური აგენტების ჯგუფური დომინირებული მდგომარეობა, კერძოდ:

- ეკონომიკური აგენტების ჯგუფის თითოეულ წევრს უნდა შეეძლოს სხვა წევრების ქცევის ზედმიწევნით გაგება და მონიტორინგი იმისა, ატარებს თუ არა ჯგუფის ყველა წევრი ერთიან საბაზრო პოლიტიკას;
- მსგავსი სიტუაციის შენარჩუნება შესაძლებელი უნდა იყოს ხანგრძლივად, ე.ი. ჯგუფის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ ბაზრის ერთობლივი პოლიტიკიდან გადახვევის მოტივაცია;
- საერთო პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებზე ზეგავლენას ვერ უნდა ახდენდეს არსებული და პოტენციური კონკურენტების (ისევე როგორც მომხმარებლების) მოსალოდნელი რეაქცია.<sup>48</sup>

რაც შეეხება, კორპორატიულ ჯგუფში/ჰოლდინგში შემავალ, დამოუკიდებელი იურიდიული ფორმის მქონე პირებს, მათ ძირითადად ერთობლივად უკავიათ დომინირებული მდგომარეობა ერთსა და იმავე ბაზარზე.<sup>49 50</sup> თუმცა, ჯგუფური დომინირებული მდგომარეობა შესაძლებელია არსებობდეს სხვადასხვა კორპორატიულ ჯგუფს მიკუთვნებული პირების შემთხვევაშიც. როგორც წესი, მსგავსი სიტუაცია გვხვდება ოლიგოპოლიურ ბაზრებზე, ანუ ისეთ ბაზრებზე, რომლებზეც ერთდროულად ფუნქციონირებს რამდენიმე ძლიერი მოთამაშე.<sup>51</sup>

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში პირდაპირაა მოცემული ეკონომიკური აგენტის დეფინიცია, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური აგენტია პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო

<sup>48</sup> საქმე T-193/02, Laurent Piau v Commission of the European Communities, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება (მეთხე პალატა), § 57.

<sup>49</sup> საქმე 6-72, Europemballage Corporation and Continental Can Company Inc. v Commission of the European Communities, სასამართლოს 1973 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.

<sup>50</sup> გაერთიანებული საქმე 6 და 7-73, Istituto Chemioterapico Italiano S.p.A. and Commercial Solvents Corporation v Commission of the European Communities, სასამართლოს 1974 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.

<sup>51</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, თბილისი, 2017, 15, ხელმისაწვდომია < <http://competition.ge> >[06/07/2019].

(არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას<sup>52</sup>.

ზემოაღნიშნული განმარტება დადგენილია ევროკავშირის სახელმძღვანელო პრინციპებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად.

## B. დომინირებული მდგომარეობა

აღსანიშნავია, რომ როგორც სასამართლო პრაქტიკა, ასევე ლიტერატურა ცალსახად თანხმდება იმაზე, რომ დომინირებული მდგომარეობა, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს კონკურენციის სამართლის დარღვევას. კანონმდებლობა კრძალავს მხოლოდ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების დღეს მოქმედი რედაქციის 102-ე მუხლის ინტერპრეტაციის შედეგად, სასამართლომ გამოიმუშავა ორეტაპიანი მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ნორმის შემადგენლობის არსებობის წინაპირობაა ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობა. მსგავს ტესტს თავად 102-ე მუხლი არ ითვალისწინებს, თუმცა აღნიშნული გამყარებულია სასამართლო პრაქტიკითა და დირექტივებით.<sup>53</sup>

კომპანია დომინირებულ მდგომარეობაშია, თუ მას აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს კონკურენტების, შემკვეთის, მომწოდებლისა და საბოლოო მომხმარებლისგან დამოუკიდებლად.<sup>54</sup> <sup>55</sup> ამ შემთხვევაში, დომინირებულ მდგომარეობაში მყოფი კომპანია ფლობს საბაზრო ძალაუფლებას, დააწესოს კონკურენციის დონეზე მაღალი ფასები, გაყიდოს შედარებით დაბალხარისხიანი

---

<sup>52</sup> კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>53</sup> საქმე 27/76, *United Brands v EC Commission* [1978], ECR 207, [1978] 1 CMLR 429 პარ. 65. წინამდებარე განმარტება ზოგადად მისაღებია ECJ-ის მიერ. დამატებით იხ. საქმე 85/76, *Hoffmann-La Roche v EC Commission* [1979] ECR 461 პარ. 38-39; საქმე 322/81, საქმე 322/81, *Nederlandsche Banden-Industrie Michelin NV v EC Commission* [1983] ECR 3461, [1985] 1 CMLR 282.

<sup>54</sup> საქმე 27/76, *United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities*, სასამართლოს 1978 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება.

<sup>55</sup> საქმე 85/76, *Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission of the European Communities*, სასამართლოს 1979 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება.

პროდუქცია და შეუშალოს ხელი ინოვაციას, რომელიც იარსებებდა ნორმალური კონკურენციის პირობებში.<sup>56</sup>

ევროკავშირის სამართლის თანახმად, დომინირებულ მდგომარეობაში ყოფნა უკანონო არ არის, აღნიშნული პოზიციის მოპოვება კანონიერი გზებითაც შეიძლება, მაგალითისთვის, კონკურენტებთან შედარებით უკეთესი პროდუქციის გამოგონების და გაყიდვის გზით.<sup>57</sup>

საქმეზე C-209/10 *Post Danmark A/S v Konkurrencerådet*, სასამართლომ დაადგინა, რომ ნორმის მიზანს არ წარმოადგენს ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებში, შესაბამის ბაზარზე, საკუთრივ დომინანტური მდგომარეობის მოპოვების აკრძალვა. თუმცა, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს გააჩნია სპეციალური და მომეტებული პასუხისმგებლობა, რომ მისმა ქმედებებმა არ მოახდინონ ბაზარზე არსებული კონკურენციის რაიმე სახით შეზღუდვა.<sup>58</sup>

დომინირებული მდგომარეობის განმარტებას ასევე ითვალისწინებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი, რომლის მიხედვითაც, დომინირებული მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. ქართული კონკურენციის სამართლის შესაბამისად დომინირებული მდგომარეობის დადგენა ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

---

<sup>56</sup> OECD's Report on Abuse of Dominance and Monopolisation, Paris, 1996, 38, ხელმისაწვდომია: <<http://www.oecd.org/competition/abuse/2379408.pdf>>, [06/07/2019].

<sup>57</sup> Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002, 14, ხელმისაწვდომია: <[http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary\\_competition\\_archived\\_en.pdf](http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary_competition_archived_en.pdf)> [28/06/2019].

<sup>58</sup> საქმე C-23/14, *Post Danmark A/S v Konkurrencerådet*, სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება (მეორე პალატა), § 70.

### C. დომინანტობის ტესტი

ნაშრომის ფარგლებში განხილულ სამივე საკანონდებლო სივრცეში, კანონდარღვევის არსებობისთვის, აუცილებლად უნდა შემოწმდეს, ფლობს თუ არა ეკონომიკური აგენტი დომინირებულ/მონოპოლიურ მდგომარეობას ბაზარზე. იმის მიუხედავად, რომ იურისდიქციები სხვადასხვა ტერმინოლოგიას იყენებენ, შინაარსობრივად შესამოწმებელი ობიექტი იდენტურია.<sup>59</sup>

თითოეულ იურისდიქციაში სხვადასხვაგვარადაა ჩამოყალიბებული დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრის კრიტერიუმები, როგორცაა საბაზრო ძალაუფლება, მონოპოლია, კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მოქმედება, ფასის კონტროლი და კონკურენციის გამორიცხვა.

სამივე იურისდიქციის ფარგლებში, პირველ რიგში მოწმდება ბაზარი და ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დომინირებული მდგომარეობის დადგენისას.

საინტერესოა რამდენად აუცილებელია მსგავსი ტესტის პრერეკვიზიტად გამოყენება საქართველოს ტიპის ბაზარზე და რამდენად ეფექტურად მოქმედებს ეს უკანასკნელი.

დომინირებული მდგომარეობის მთავარი ელემენტების გამოყოფის სირთულიდან გამომდინარე, კონკურენციის სააგენტოები იყენებენ საბაზრო წილს, როგორც დომინანტობის ინდიკატორს. „საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ“ პირდაპირ განსაზღვრავს საბაზრო წილის პროცენტულ მაჩვენებელს, კერძოდ, მითითებულია, რომ თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.<sup>60</sup>

გარდა ამისა, ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული მიიჩნევა დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის

<sup>59</sup> Rudman D., Ostrovsky S., Dominance test: a superfluous jurisdictional hurdle?, South Africa, 2010, 6, ხელმისაწვდომია: <<http://www.compcom.co.za/wp-content/uploads/2014/09/article-dominance-test.pdf>>, [07/07/2019].

<sup>60</sup> კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.



ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად: არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია; არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.<sup>61</sup>

ზემოაღნიშნული დათქმის პირდაპირ საქართველოს კანონით გათვალისწინება ატარებს არა მხოლოდ მითითებით ხასიათს, არამედ, ფაქტობრივად, იწვევს დომინირების უდავო პრეზუმფციას. ეს ერთგვარი „უსაფრთხო თავშესაფარია“, რომლის ქვემოთაც ეკონომიკური აგენტი არ მიიჩნევა დომინანტად, შესაბამისად, მის წინააღმდეგ გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული. <sup>62</sup>

ნორმის ხარვეზს გარკვეულწილად ასწორებს იმავე მუხლით გათვალისწინებული დათქმა - „თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს“. განსხვავებით საქართველოსგან, ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი გამოიყენება ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებულ მდგომარეობაში ყოფნის ეჭვის წარმოსაქმნელად. ამ მიდგომის უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ საბაზრო წილი მონოპოლიური ძალაუფლების არაპირდაპირი და არასრულყოფილი მაჩვენებელია.<sup>63</sup> უფრო მეტიც, საბაზრო წილის ბარიერის დადგენა დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისთვის არ წარმოადგენს ზუსტ მეცნიერებას, აღნიშნული ყოველთვის არ იძლევა უტყუარ შედეგებს და სასამართლო პრაქტიკაში დებატების საგანიც ხშირად გამხდარა. პროცენტულად მაღალი საბაზრო წილის მიუხედავად, ბაზარზე ძალაუფლების მოპოვება მეტწილად დამოკიდებულია შესასვლელ ბარიერებზე, უკვე არსებული კონკურენტების რეაგირების უნარზე და მოთხოვნის ინტენსივობაზე<sup>64</sup>.

<sup>61</sup> იქვე, „ი.ა“, „ი.ბ“ ქვეპუნქტები.

<sup>62</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 399, ხელმისაწვდომია: <[http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4) > [07/07/2019].

<sup>63</sup> Rudman D., Ostrovsky S., Dominance test: a superfluous jurisdictional hurdle?, South Africa, 2010, 9, ხელმისაწვდომია: <<http://www.compcom.co.za/wp-content/uploads/2014/09/article-dominance-test.pdf>>, [07/07/2019].

<sup>64</sup> იქვე.



საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ გლობალაგროს<sup>65</sup> საქმეში კონკურენციის სააგენტოს მიერ დომინანტური მდგომარეობის მქონედ მიჩნეულ იქნა 40%-ზე ნაკლები საბაზრო წილის მქონე ეკონომიკური აგენტი. სააგენტოს მიერ სამი ეკონომიკური აგენტი: შპს „აგროსისტემები“, შპს „კარმენი“ და შპს „კარმენ K“ მიჩნეულ იყვნენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოადგენდნენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს და მათი წილების დათვლა განხორციელდა ერთობლივად – რამაც შეადგინა 39%.<sup>66</sup>

პრერეკვიზიტის არსებობა დომინირებულ მდგომარეობაში მყოფ კომპანიებს თვითკონტროლის დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს. ეკონომიკური აგენტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საბაზრო წილის კრიტერიუმის საფუძველზე ფლობენ დომინირებულ მდგომარეობას ხშირ შემთხვევაში თავს იკავებენ „აგრესიული კონკურენციისგან“, იმის შიშით, რომ მსგავს ქმედებას შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შემზღვეველი ეფექტი ექნება.<sup>67</sup>

ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც დადგენილი საბაზრო წილის ბარიერის თანახმად, არ წარმოადგენენ დომინანტებს, შესაძლოა მცდარი დაცულობის შეგრძნება გაუჩნდეთ, მათ მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა კი კონკურენციის შეზღვევა გამოიწვიოს და დააზიანოს მომხმარებელი.

ჩამოთვლილი ნაკლოვანებები საფუძველია იმისა, თუ რატომ მოხდა ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონკურენციის ორგანოების მიერ საბაზრო წილის გამოთვლის კუმულაციურად შეფასება ისეთ მეთოდებთან ერთად, როგორცაა, შესაბამისი ბაზრის მდგომარეობისა და ბაზრის დინამიკის განსაზღვრა, ისევე როგორც, შესასვლელი ბარიერებისა და ბაზრის სტრუქტურის იდენტიფიცირება<sup>68</sup>.

<sup>65</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, ბრძანება №148, 12.10.2015.

<sup>66</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, ხელმისაწვდომია: <[http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4) > [07/07/2019], 408.

<sup>67</sup> Rudman D., Ostrovsky S., Dominance test: a superfluous jurisdictional hurdle?, South Africa, 2010, 10, ხელმისაწვდომია: <<http://www.compcom.co.za/wp-content/uploads/2014/09/article-dominance-test.pdf>>, [07/07/2019].

<sup>68</sup> იქვე, 9.

## D. შესაბამისი ბაზარი

ეკონომიკური აგენტები ბაზრის იდეას იყენებენ, როგორც ზონას, სადაც ხორციელდება მათი პროდუქციის რეალიზაცია, უფრო ფართო განმარტებით, ბაზარი წარმოადგენს სექტორს, სადაც ისინი ოპერირებენ. ამის მიუხედავად, კონკურენციის სამართლის მიზნებიდან გამომდინარე, შესაბამისი ბაზრის კონცეფცია განსხვავდება აღნიშნული ტერმინის სხვა სფეროებში გამოყენებისგან.<sup>69</sup>

თანამედროვე ანტიმონოპოლიური სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მოიცავს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრას. თავდაპირველად, ტერმინი „შესაბამისი ბაზარი“ არ ფიგურირებდა არც ერთ საკანონმდებლო აქტში, აქედან გამომდინარე, მისი ჩამოყალიბება სასამართლო პრაქტიკამ განაპირობა.<sup>70</sup>

დომინირებული მდგომარეობის დადგენისას ყოველთვის მოწმდება შესაბამისი ბაზარი. მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ბაზრის ჩარჩო რათა სწორად განისაზღვროს ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი.

შესაბამისი ბაზარი, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დგინდება რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, კერძოდ:

- სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.<sup>71</sup>

საქმეზე, *United Brands v. Commission* ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განსაზღვრა, რომ დომინირებული მდგომარეობა დამოკიდებულია შესაბამის ბაზარზე საბაზრო ძალაუფლების არსებობაზე, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს იმოქმედოს მისი კონკურენტების, შემკვეთისა და

---

<sup>69</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. WIPO-ს შესაბამისი ბაზრის განმარტების სახელმძღვანელო, 2, ხელმისაწვდომია: <<https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/tr/tr131en.pdf>>, [07/07/2019].

<sup>70</sup> Werth, Robert W., Determination of the Relevant Product Market, Ohio State Law Journal, vol. 26, no. 2 (1965), 241, ხელმისაწვდომია: <<https://kb.osu.edu/handle/1811/68769>>, [07/07/2019].

<sup>71</sup> გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი №5, 2018, 32.

მომხმარებლისგან დამოუკიდებლად<sup>72</sup>. სხვა ფაქტორები, რომლებსაც სასამართლო ითვალისწინებს გახლავთ: ბაზარზე შესვლის ბარიერი, საბაზრო წილი, ბაზრის ლიდერის ურთიერთობა მის კონკურენტებთან, მომწოდებლებთან და შემკვეთთან და დროის პერიოდი რომლის განმავლობაშიც ეკონომიკური აგენტი სარგებლობდა დომინირებული მდგომარეობით.<sup>73</sup>

აღსანიშნავია, რომ ამერიკული მოწესრიგებისგან განსხვავებით, ევროკავშირის სამართალი არ ადგენს საბაზრო წილის ისეთივე მაღალ ზღვრულ დონეს. როგორც წესი, დომინანტური მდგომარეობის არსებობისთვის საკმარისია, 40%-45%-იანი საბაზრო წილი, ამასთან, ეკონომიკური აგენტის მიერ 20%-40%-ის<sup>74</sup> ფარგლებში საბაზრო წილის არსებობა არ გამოირიცხავს მის დომინირებას.<sup>75</sup>

## I. პროდუქციული ბაზარი

შესაბამისი პროდუქციული ბაზარი მოიცავს ყველა იმ პროდუქციას და/ან მომსახურებას, რომელიც მიჩნეულია როგორც ურთიერთჩანაცვლებადი, პროდუქტის მახასიათებლების, ფასისა და დანიშნულების მიხედვით. უფრო ზუსტი დეფინიცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ემყარება ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხს<sup>76</sup>.

- მოთხოვნის ურთიერთჩანაცვლებადობის გამოსათვლელად გამოიყენება ეგრეთწოდებული SSNIP ტესტი,<sup>77</sup> რომლის მიხედვითაც, თუკი A პროდუქტის ფასის 5-10%-ით ზრდა იწვევს მომხმარებელთა გადართვას B პროდუქტზე, ისინი ურთიერთჩანაცვლებად

<sup>72</sup> საქმე 27/76, United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities, სასამართლოს 1978 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, § 65.

<sup>73</sup> OECD's Report on Abuse of Dominance and Monopolisation, Paris, 1996, 38, ხელმისაწვდომია: <<http://www.oecd.org/competition/abuse/2379408.pdf>>; [06/07/2019].

<sup>74</sup> Virgin/British Airways საქმე IV/D-2/34.780 ევროკომისიის 1999 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება 2000/74/EC.

<sup>75</sup> OECD's Report on Abuse of Dominance and Monopolisation, Paris, 1996, 37, ხელმისაწვდომია: <<http://www.oecd.org/competition/abuse/2379408.pdf>>; [06/07/2019].

<sup>76</sup> Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002, 38, ხელმისაწვდომია: <[http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary\\_competition\\_archived\\_en.pdf](http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary_competition_archived_en.pdf)> [28/06/2019].

<sup>77</sup> Liviana N., The Small but Significant and Nontransitory Increase in Prices (SSNIP) Test, Studies and scientific researches Edition: Economics, no. 13, Baku, 2008, 66.

პროდუქციად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე A და B პროდუქტი ერთ ბაზარს მიეკუთვნება.

- მიწოდების ურთიერთჩანაცვლებადობა კი გულისხმობს მიმწოდებელთა უნარს მოკლე ვადებში მიმართონ წარმოება შესაბამის პროდუქტზე დამატებითი ხარჯებისა და რისკების გარეშე. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ ენიჭება შედარებითი ფასის მცირედით ცვლილებას.<sup>78</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობის მიუხედავად, SSNIP ტესტი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი ბაზარზე უკვე მონოპოლიური ფასებია. საკითხთან მიმართებით განიხილავენ ეგრეთწოდებულ „ცელოფანის პარადოქსის“ შემთხვევას<sup>79</sup>. პარადოქსი თავს იჩენს იმ შემთხვევაში, თუკი ეკონომიკური აგენტი ყიდის პროდუქტს, რომლის ჩანაცვლებაც შუძლებელია ან შესაძლებელია მხოლოდ მცირე სახეობის პროდუქტით. აღნიშნული კომპანიას საშუალებას აძლევს გაზარდოს მის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასი.

კონკრეტული შემთხვევა უკავშირდება ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს - *U.S. v. E. I. du Pont*.<sup>80</sup> კომპანია *du Pont* აწარმოებდა შესაფუთ ცელოფანს, მის წანააღმდეგ სარჩელი შეიტანეს ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტში შერმანის აქტის მეორე სექციის<sup>81</sup> დარღვევის ფაქტზე. საქმე საბოლოოდ 1956 წელს განიხილა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ.

უზენაესი სასამართლო დაეთანხმა მოპასუხის პოზიციას, რომ 1950-იან წლებში არსებობდა სხვა კომპანიებიც, რომლებიც აწარმოებდნენ ცელოფანის ურთიერთჩანაცვლებად პროდუქციას, კერძოდ, არ არსებობდა ცალკე აღებული ცელოფანის ბაზარი, არამედ *du Pont*-ის პროდუქცია ექცეოდა უფრო დიდი „შესაფუთი საშუალებების“ ბაზრის ქვეშ, სადაც კომპანია მხოლოდ 20%-იან წილს ფლობდა, შესაბამისად სასამართლომ მონოპოლიზაციის ფაქტი ვერ დაადგინა<sup>82</sup>.

---

<sup>78</sup> იქვე.

<sup>79</sup> ლიტერატურაში მოხსენიებულია ორგვარად “Cellophane fallacy” და “Cellophane paradox”.

<sup>80</sup> *United States v. E.I. duPont de Nemours & Co.*, 251 U.S. 377 (1956), დადასტურება 118 F.Supp. 41 (D. Del. 1953).

<sup>81</sup> იქვე, პარ. 2.

<sup>82</sup> *Anti-Trust Law: The Impact of the Cellophane Case on the Concept of Market*, *Indiana Law Journal*: Vol. 32, 1957, 374, ხელმისაწვდომია: <<http://www.repository.law.indiana.edu/ilj/vol32/iss3/4>> [07/07/2019].

განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა სამმა მოსამართლემ, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ცელოფანი მიეკუთვნებოდა განსაკუთრებულ ბაზარს, ხოლო *du Pont* ცელოფანის ბაზარზე ფლობდა მონოპოლიას. აღნიშნულზე მეტყველებდა თავად მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიც, რომლებიც მიუთითებდა კომპანიის ბიზნესის ზრდაზე, ამასთან, ცელოფანზე მაღალი ფასის დაწესების მიუხედავად, სხვა შესაფუთი საშუალებების მწარმოებლები მაინც ვერ უწევდნენ კონკურენციას *du Pont*-ის პროდუქციას.<sup>83</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე კრიტიკის საგანია, ვინაიდან სასამართლომ გაითვალისწინა ჩანაცვლების მხოლოდ ტექნიკური შესაძლებლობა და მხედველობაში არ მიუღია ფასებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება, ისევე როგორც ცელოფანის შესაძლებლობა ემოქმედა კონკურენტი პროდუქციისგან დამოუკიდებლად.<sup>84</sup>

პროდუქციული ბაზრის განსაზღვრისთვის, მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიკურობის ეკონომიკური ტესტი, კომისიის მიერ SSNIP ტესტის გვერდით გამოიყენება. იქ სადაც ჯვარედინი ელასტიკურობა მაღალია, პროდუქციის ფასის ნებისმიერი ცვლილება აუცილებლად გამოიწვევს მომხმარებელთა გადართვას სხვა პროდუქტზე.

მოთხოვნის „ელასტიკურობა“, გულისხმობს მომხმარებლების შესაძლებლობას მარტივად გადაერთონ სხვა პროდუქციაზე, ხოლო „არაელასტიკურობის“ შემთხვევაში, ისინი არ შეაჩერებენ არჩევანს განსხვავებულ პროდუქტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფასი რადიკალურადაა შეცვლილი. ჯვარედინი ელასტიკურობა გამოსადეგი ტესტია<sup>85</sup> ბაზრის სტრუქტურის დასადგენად, თუმცა როგორც ყველა სტატისტიკური ანალიზის შემთხვევაში, უნდა გადამოწმდეს აისახება თუ არა შედეგებში ბაზრის რეალური სახე.<sup>86</sup>

<sup>83</sup> United States v. EI Du Pont De Nemours & Co., 118 F. Supp. 41 (D. Del. 1953), პარ. 99.

<sup>84</sup> Werth, Robert W., Determination of the Relevant Product Market, Ohio State Law Journal, vol. 26, no. 2 (1965), 241-293, 253, ხელმისაწვდომია: < <https://kb.osu.edu/handle/1811/68769> >, [07/07/2019].

<sup>85</sup> მაგალითისთვის იხ. საქმე 27/76, United Brands Company and United Brands Continenteaal BV v Commission of the European Communities, სასამართლოს 1978 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება, პარ. 429.

<sup>86</sup> Rodger B., MacCulloch A., Competition Law and Policy in the EC and UK, 2009, 107, ხელმისაწვდომია: < <https://books.google.ge/books?id=kf58AgAAQBAJ&pg=PA106&lpg=PA106&dq=interchangeability+com+mission+practice&source=bl&ots=eucFudBEv&sig=ACfU3U2K4nPsj3547Gr1S2sbfP49j48wjQ&hl=ka&sa=>



## II. გეოგრაფიული ბაზარი

შესაბამისი გეოგრაფიული ბაზარი მოიცავს არეალს, სადაც ეკონომიკური აგენტები ჩართულნი არიან ბაზარზე პროდუქციის/მომსახურების მოთხოვნის შესაბამისად მიწოდების სერვისში<sup>87</sup>, ამასთან, ტერიტორიაზე კონკურენცია საკმაოდ თანაბარია და კონკურენციის პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება მეზობელი არეალებისგან<sup>88</sup>.

გეოგრაფიული ბაზარი განიმარტება, როგორც ტერიტორია, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები შეიძინონ მოცემული საქონელი/მომსახურება. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას გაითვალისწინება:

- საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის, თავისუფალი გადაადგილების, ტრანსპორტირების შესაძლებლობა შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში;
- საქონლის გადატანის, გადაადგილების შესაძლებლობა შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში;
- შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარში შემავალ ტერიტორიებზე ფასების ჰომოგენურობა, ერთგვაროვნება.<sup>89</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტომ წყალტუბოს ბალნეოლოგიური კურორტის საქმეში შესაბამის პროდუქციულ ბაზრად განსაზღვრა წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლები, ხოლო გეოგრაფიულ ბაზრად – საქართველოს უშუალოდ ის ნაწილი, სადაც შესაძლებელია წყლების მოპოვება, კერძოდ, მხოლოდ ერთი ქალაქი – წყალტუბო.<sup>90</sup> სააგენტოს

---

[X&ved=2ahUKEwiYINaX\\_DiAhWEbVAKHfyUC\\_YQ6AEwAHoECAIQAO#v=onepage&q=interchangeability%20commission%20practice&f=false](http://ec.europa.eu/competition/practice%20commission%20practice&f=false), [07/07/2019].

<sup>87</sup>Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002, 39, ხელმისაწვდომია <[http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary\\_competition\\_archived\\_en.pdf](http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary_competition_archived_en.pdf) > [28/06/2019].

<sup>88</sup> Official Journal of the European Communities, C 372, 1997, 5.

<sup>89</sup> კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანება ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე, მე-11 მუხლი.

<sup>90</sup>აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 405, ხელმისაწვდომია:<[http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXm](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXm)

განმარტებით, „შეუძლებელია წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლის მოპოვება ბალნეოზონის გარეთ, წყალტუბოს თერმულ-მინერალური წყლების მიწოდებისთვის შესაბამის ბაზრად განისაზღვრება წყალტუბოს ბალნეოზონა“.<sup>91</sup>

### III. ბაზრის დროითი ჩარჩოები

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. დროითი ჩარჩო შესაბამისი ბაზრისათვის შეიძლება იყოს სეზონი. დროითი ჩარჩო გამოიყენება გეოგრაფიულ საზღვრებში შესადარებელი საქონლის/მომსახურების თანხვედრისას. შესაბამისი ბაზარი განისაზღვრება საქონლის ბაზრის, მისი გეოგრაფიული გავრცელებადობის და იმ დროის ერთობლიობით, როდესაც ბაზარი ფუნქციონირებს. აქედან გამომდინარე, ბაზრები, რომელთაც აქვთ ერთგვაროვანი საქონელი და გეოგრაფიული საზღვრები და ფუნქციონირებენ სხვადასხვა სეზონზე, წარმოადგენენ განსხვავებულ ბაზრებს.<sup>92</sup>

### E. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

ტერმინი „ბოროტად გამოყენება“ ერთი შეხედვით ბუნდოვანია და მისი მნიშვნელობა თავიდანვე უკავშირდებოდა აზრთა სხვადასხვაობას. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ ევროკავშირის კონკურენციის სამართალი აღნიშნულ ტერმინს სხვადასხვა დროს განსხვავებულად განმარტავდა. დავის საგანს წარმოადგენდა როგორც ტერმინის წარმომავლობა, ასევე მიზანი და გამოყენების ფორმა. განსხვავებულ მოსაზრებებს ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ აკადემიურ წრეებში, არამედ ზემოაღნიშნულ საკითხზე აქტიურად მსჯელობდა 102-ე მუხლის შემფარდებელი ორგანო - ევროკომისია და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო, რომელსაც კომისიის მეთვალყურეობა ევალება.<sup>93</sup>

[FWiJZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](#) > [07/07/2019], დამატებით იხ. სქოლიო 996.

<sup>91</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება №31, 04.03.2015.

<sup>92</sup> გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი №5, 2018, 34.

<sup>93</sup> Behrens P., The ordoliberal concept of "abuse" of a dominant position and its impact on Article 102 TFEU, Discussion Paper, No. 7/15, Europa-Kolleg Hamburg, Institute for European Integration, Hamburg, 2015,5.



მთავარ პრობლემას წარმოადგენს, როგორ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება?

აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ 1972 წელს იმსჯელა საქმეზე *Continental Can Company Inc. v Commission*<sup>94</sup>. თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ დომინირებული მდგომარეობა იმთავითვე უკანონო იყო. აღნიშნული საქმის განხილვის შემდეგ, სასამართლომ „ბოროტად გამოყენება“ განმარტა, როგორც „ობიექტური კონცეფცია“ და განასხვავა ერთმანეთისგან დომინირებული მდგომარეობა და მისი ბოროტად გამოყენება შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის საფუძველზე.

როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა მოიცავს პროდუქციის ბაზრის დადგენას, რომელიც გულისხმობს პროდუქტის კლასიფიცირებას მსგავსს და ურთიერთჩანაცვლებად პროდუქტად. გარდა ამისა, აუცილებელია გეოგრაფიული ბაზრის განსაზღვრა, რომელიც განიმარტება, როგორც, ტერიტორია, სადაც მოქმედებს ჰომოგენური კონკურენციის პირობები. უკანასკნელი კრიტერიუმი მოიცავს ბაზრის დროითი ჩარჩოს დადგენას, რომელიც დაკავშირებულია დროთა განმავლობაში კონკრეტულ ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების ანალიზთან.<sup>95</sup>

მაშინაც კი, როდესაც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ითხოვს სამივე ელემენტის დეტალურად შესწავლას, პრაქტიკაში კომისია ყველაზე დიდ მნიშვნელობას პირველ კრიტერიუმს ანიჭებს<sup>96</sup>.

რაც შეეხება საბაზრო ძალაუფლებას, იმის მიუხედავად, რომ არსებობს ზუსტი ეკონომიკური დეფინიცია, მარტივი არ არის პრაქტიკული თვალსაზრისით მისი გაზომვა. ერთ-ერთი მიდგომის თანახმად, გამოიყენება ლერნერის ინდექსი, რომელიც მიიღება პროდუქციის ფასსა და მის თვითღირებულებას შორის არსებული სხვაობის გამოთვლით. ამის მიუხედავად, თვითღირებულების ემპირიული გაზომვა არ არის მარტივი, მის ალტერნატივას წარმოადგენს

<sup>94</sup> საქმე 6-72, Europemballage Corporation and Continental Can Company Inc. v Commission of the European Communities, სასამართლოს 1973 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.

<sup>95</sup> Marginean M., Positive and negative aspects analysis in abuse of dominance, Doctoral School of Economics and Bussines Administration, 2017, 8, ხელმისაწვდომია: <<https://mpira.uni-muenchen.de/83750/>> [06/07/2019].

<sup>96</sup> იქვე, 9.

საშუალო ცვალებადი ხარჯების დათვლა. კიდევ ერთი მიდგომით, ბაზარზე ძალაუფლების გამოთვლა უნდა მოხდეს კომპანიის წმინდა მოგებისა და ფასის გაზრდის შესაძლებლობის განსაზღვრით. თუმცა ეს უკანასკნელიც საკმაოდ საკამათოა.<sup>97</sup>

### 3. ნაწილი

#### დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული ფორმები

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება პრაქტიკაში შესაძლოა მრავალი ფორმით გამოვლინდეს. ქვემოთ განხილული იქნება მათი არასრული ჩამონათვალი, რომელიც მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ანტიტრასტული კანონმდებლობის მსგავსია.

#### § 1. მტაცებლური ფასის დაწესება<sup>98</sup>

მტაცებლური ფასის დაწესება, განიმარტება, როგორც დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ წინასწარ განზრახული სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს, საქონლის კონკურენტულ ფასზე უფრო დაბალ ფასად შეთავაზებას. მას შემდეგ, რაც ეკონომიკური აგენტი ბაზრიდან განდევნის ყველა კონკურენტს და ამასთან, ხელს შეუშლის ბაზარზე ახალი კომპანიების შემოსვლას, იგი მოიპოვებს შესაძლებლობას, გაზარდოს პროდუქტის ღირებულება იმგვარად, რომ მიიღოს უფრო დიდი მოგება<sup>99</sup>.

ამით დომინირებული სუბიექტი მოკლევადიან პერიოდში ზარალდება, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მსგავსი აგრესიული ფასისმიერი კონკურენციით ახერხებს კონკურენტების ბაზრიდან გაძევებასა და საბაზრო წილის კიდევ უფრო

---

<sup>97</sup> Khemani R. S., Shapiro D. M., OECD, Glossary of Industrial Organisation Economics and Competition Law Organisation for Economic Co-Operation and Development, 57, ხელმისაწვდომია:

<<http://www.oecd.org/regreform/sectors/2376087.pdf> > [06/07/2019].

<sup>98</sup> Predatory Pricing.

<sup>99</sup> Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002, 67, ხელმისაწვდომია:

<[http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary\\_competition\\_archived\\_en.pdf](http://ec.europa.eu/translation/spanish/documents/glossary_competition_archived_en.pdf) >

[28/06/2019].

გაზრდას. აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს<sup>100</sup>.

ECJ-იმ მტაცებლური ფასის დაწესების მიმართ მიდგომა შეაჯერა ორ წამყვან საქმეზე, *AKZO*<sup>101</sup> და *Tetra Pak*<sup>102</sup>.

საქმეზე, C-333/94, სასამართლომ მნიშვნელოვანი პრინციპი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, კანონსაწინააღმდეგოა ერთ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის გამოყენება მეორე ბაზარზე მტაცებლური ფასების დაწესების მიზნით.<sup>103</sup>

ორგანული ქიმიური ნივთიერებების მწარმოებელმა კომპანია *AKZO*-მ, რომელიც სპეციალიზებული იყო ბენზანოლი პეროქსიდის წარმოებაში პლასტმასის სექტორში, ბენზანოლ პეროქსიდის ფასი დაწია და შესთავაზა დიდი ფასდაკლება თავისი ერთადერთი კონკურენტის *ECS*-ის საუკეთესო კლიენტებს, პლასტმასის სექტორში. კომისიამ დაადგინა, რომ *AKZO*-მ დაარღვია TFEU-ს 102-ე მუხლი, სხვადასხვა მტაცებლური აქტივობების განხორციელებით, თავისი კონკურენტის, *ECS*-ის პლასტმასის სექტორიდან გასაძევებლად.<sup>104</sup>

*AKZO*-ს შემთხვევაში, სასამართლომ განსაზღვრა ტესტი, რომლის მიხედვითაც თუ ფასი საშუალო ცვლად დანახარჯზე (ანუ იმ დანახარჯებზე, რომელიც იცვლება წარმოებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით) ნაკლებია, მოქმედებს მტაცებლური ფასების დაწესების პრეზუმფცია, რა დროსაც, არ არსებობს კონკურენტის ბაზრიდან გაძევების გარდა, სხვა უფრო დამაჯერებელი ეკონომიკური მიზანი, ვინაიდან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თითოეული

---

<sup>100</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, თბილისი, 2017, 19, ხელმისაწვდომია < <http://competition.ge> > [06/07/2019].

<sup>101</sup> საქმე C-62/86, - *AKZO Chemie BV v Commission of the European Communities*, სასამართლოს 1991 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება.

<sup>102</sup> საქმე C-333/94 P, *Tetra Pak International SA v Commission of the European Communities*, სასამართლოს 1996 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება.

<sup>103</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, თბილისი, 2017, 20, ხელმისაწვდომია < <http://competition.ge> > [06/07/2019].

<sup>104</sup> O'Donoghue R., Padilla J., *The Law and Economics of Article 102, TFEU*, 2014, 6.3.

პროდუქტის წარმოება ეკონომიკური აგენტისთვის ფინანსურ ზარალთანაა დაკავშირებული.<sup>105</sup>

იმ შემთხვევაში, თუკი ფასი საშუალო მთლიან დანახარჯზე (რაც გულისხმობს ფიქსირებული დანახარჯებისა და ცვლადი დანახარჯების ჯამს) ნაკლებია, მაგრამ საშუალო ცვლად დანახარჯზე მეტია, ის მტაცებლურია მხოლოდ მაშინ, როდესაც, ფასის დაწესება კონკურენტის ბაზრიდან გაძევების მიზნის ნაწილია.

კიდევ ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება *Tetra Pak International SA*-ის წინააღმდეგ ასევე შეეხებოდა კომპანიის მიერ მტაცებლური ფასების დაწესებას, სადაც კომისიამ დაადგინა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი. ეკონომიკურმა აგენტმა სასამართლოში გაასაჩივრა კომისიის გადაწყვეტილება.<sup>106</sup>

სასამართლო ამ შემთხვევაშიც დაეყრდნო *AKZO*-ს საქმეზე გაკეთებულ განმარტებას და აღნიშნა, რომ მტაცებლური ფასების დასადგენად აუცილებელია სახეზე იყოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების შესაბამისი ბაზრიდან განდევნის განზრახვა. სასამართლომ არსებითად არ მიიჩნია იმის განხილვა, თუ რამდენად შეეძლო მომავალში *Tetra Pak*-ს დაბალი ფასების დაწესებით მისთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.<sup>107</sup>

ევროკავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით, ფასი წარმოების საშუალო მთლიან დანახარჯს უნდა აღემატებოდეს, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მტაცებლურ ფასებზე სარჩელი. ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს ევროკავშირის სამართლის მსგავსად დაწესებული ნიშნული, იუსტიციის დეპარტამენტი მტაცებლური ფასის დადგენისას უფრო მოქნილია.<sup>108</sup>

---

<sup>105</sup> MHRD Project under its National Mission on Education through ICT , Abuse of Dominant Position in US and EU, New Delhi, 14.

<sup>106</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტო, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თბილისი, 2018, 6, ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/images/upload/gzamkvlevi.pdf> [07/07/2019].

<sup>107</sup> იქვე, 7.

<sup>108</sup> MHRD Project under its National Mission on Education through ICT , Abuse of Dominant Position in US and EU, New Delhi, 14.

საინტერესოა, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტომ გლობალაგროს საქმეში განიხილა მტაცებლური ფასების დაწესებასთან დაკავშირებით საჩივარი.<sup>109</sup>

საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელი ასოციაციის, „გლობალაგროს“ განცხადების საფუძველზე კონკურენციის სააგენტომ დაიწყო მოკვლევა აზერბაიჯანული კომპანიის „კარატ ჰოლდინის“ მიერ შესაძლო არასამართლიანი ფასების დაწესებასთან დაკავშირებით.<sup>110</sup>

საქმეში არსებული გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას უარყოფენ იგივე გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნული ეკონომიკური აგენტის დომინირებულ მდგომარეობას“, კერძოდ, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს, მისი საბაზრო წილის გათვალისწინებით, ნამდვილად შეეძლო ეწარმოებინა ფქვილი ბაზარზე მოქმედ დანარჩენ ეკონომიკურ აგენტებზე უფრო ნაკლები დანახარჯებით, შესაბამისად, უფრო დაბალ ფასად.

შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, სააგენტომ ვერ დაადგინა დანარჩენი ეკონომიკური აგენტების ბაზრიდან განდევნის ფაქტი, რაც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. გარდა ამისა, მოპასუხის საბაზრო წილი 2013-2014 წლებში პრაქტიკულად არ გაზრდილა, ხოლო 2015 წელს პირიქით განიცადა მნიშვნელოვანი ვარდნა და გაუტოლდა 30%-ს.<sup>111</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან წარმოებულ საფასო პოლიტიკაში არ შეინიშნებოდა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომში მტაცებლური ფასების დაწესებასთან დაკავშირებით განხილული საქმეებისგან განსხვავებით,

<sup>109</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება №148, 12.10.2015.

<sup>110</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება №148, 12.10.2015, 2.

<sup>111</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება №148, 12.10.2015 55-56.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს არ განუსაზღვრია რომელიმე ტესტი, რის მიხედვითაც შეაფასებდა არასამართლიანად დაბალი ფასების არსებობას.<sup>112</sup>

დღემდე, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს არცერთ საქმეზე არ დაუდგენია არასამართლიანი ფასების არსებობა, შესაბამისად, უცნობია, თუ რა ტესტით უნდა შეფასდეს დომინირებულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკური აგენტის მიერ არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესება.<sup>113</sup>

## § 2. ექსკლუზიური გარიგება და ფასდათმობები<sup>114</sup>

ექსკლუზიური გარიგების არსებობისთვის, აუცილებელია, რომ მყიდველი პროდუქციას და/ან მომსახურებას გარკვეული დროის განმავლობაში, ექსკლუზიურად ან ძირითადად ერთი მომწოდებლისგან იძენდეს. კონკურენციის საკითხი თავს იჩენს მაშინ, როდესაც ექსკლუზიური გარიგების ფარგლებში, ბაზარი იზღუდება სხვა კონკურენტებისთვის, რაც შესაძლოა დიდი ხნის განმავლობაშიც გაგრძელდეს.<sup>115</sup> მაშინ, როდესაც ევროკავშირში არსებობს დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები, მსგავს პრობლემებთან გასამკლავებლად, აშშ-ის მიდგომა დღემდე არაა ნათელი. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკაში ექსკლუზიური შეთანხმება კონკურენციას არც კი ეწინააღმდეგება.<sup>116</sup>

ექსკლუზიური გარიგებები შეიძლება პრაქტიკაში ორი სახით გამოვლინდეს, ექსკლუზიურ შესყიდვებზე შეთანხმება, ფასდათმობები (ფასდაკლება) ან ერთგული ფასების შეთავაზება (პირობითი). პირობით ფასდათმობაში იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მყიდველი სარგებლობს ფასდაკლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესყიდვების რაოდენობა აჭარბებს გარკვეულ ნიშნულს, რაც ფაქტობრივად აიძულებს მყიდველს სრულად ან დიდწილად

---

<sup>112</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 427, ხელმისაწვდომია: <[http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4) > [07/07/2019].

<sup>113</sup> იქვე, , 430.

<sup>114</sup> Exclusive dealing and Rebates.

<sup>115</sup> Whish R., Bailey D., Competition Law, 8<sup>th</sup> ed. Oxford University Press, 2015, 723.

<sup>116</sup> MHRD Project under its National Mission on Education through ICT , Abuse of Dominant Position in US and EU, New Delhi, 14, ხელმისაწვდომია: <[https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp\\_content/law/03.\\_competition\\_law/18.\\_abuse\\_of\\_dominant\\_position\\_in\\_us\\_and\\_eu\\_/et/5657\\_et\\_18et.pdf](https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp_content/law/03._competition_law/18._abuse_of_dominant_position_in_us_and_eu_/et/5657_et_18et.pdf)> [05/07/2019].



შესყიდვები განახორციელოს მხოლოდ ერთი დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი კომპანიისგან.<sup>117</sup>

*Hoffmann-La Roche*-ს საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება იყო ერთ-ერთი პირველი, სადაც სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა ფასდათმობის სისტემის შინაარსს, იმისდა მიუხედავად, თუ რა ფორმით იყო წარმოჩენილი ეს სისტემა თავად ხელშეკრულებებში.

*La Roche* იყო ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელი, რომელიც კომისიის შეფასებით, ვიტამინების შესაბამის ბაზარზე ფლობდა დომინანტურ მდგომარეობას. როგორც გაირკვა, კომპანია ბაზარზე არსებული დიდი შემსყიდველებისთვის აწესებდა ლოიალურ ფასდათმობებს, თუმცა გაფორმებულ ხელშეკრულებებში ამ ფასდათმობის ლოიალური ხასიათი არ იკვეთებოდა.<sup>118</sup>

ზემოთ აღნიშნულ საქმეზე მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა შემდეგზე:

„ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დომინირებული მდგომარეობა... და შესაძლებლობა „დააბას“ მყიდველები - იმ შემთხვევაშიც კი თუ აღნიშნული გამოწვეულია თავად მყიდველების მოთხოვნით - მათი მხრიდან ვალდებულების ან დაპირების საფუძველზე მოიპოვონ საჭიროებიდან გამომდინარე ყველა ან უმეტესი ნაწილი ექსკლუზიურად ზემოაღნიშნული ეკონომიკური აგენტისგან, იწვევს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას..., მნიშვნელობა არ აქვს ვალდებულება წარმოიშობა სამომავლო დაპირების გარეშე თუ გრანტის ან ფასდათმობის შეთავაზების საფუძველზე. იგივე სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც ეკონომიკური აგენტი არ „აბამს“ მყიდველებს ოფიციალური ვალდებულებებით, თუმცა... ნერგავს ლოიალურობის ფასდათმობის სისტემას, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ფასდაკლებას გარკვეული პირობით, მაგალითისთვის, თუკი მყიდველი შეიძენს დომინირებულ მდგომარეობაში

<sup>117</sup> იქვე.

<sup>118</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტო, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თბილისი, 2018, 11, ხელმისაწვდომია: <<http://competition.ge/images/upload/gzamkvlevi.pdf>> [07/07/2019].



მყოფი ეკონომიკური აგენტისგან პროდუქციის მთელ ან უმეტეს ნაწილს, მისი საჭიროებიდან გამომდინარე...“<sup>119 120</sup>

საქმე T-286/09<sup>121</sup>, შეეხებოდა შემთხვევას, სადაც 1997-2007 წლებში Intel შესაბამის ბაზარზე (კომპიუტერული ჩიპების ბაზარი) ფლობდა საბაზრო წილის 70%-ს რამაც საშუალება მისცა, დაევალებულიყვნა მწარმოებლები (Dell, HP, NEC, Lenovo) ფასდათმობების შეთავაზების სანაცვლოდ, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, კომპიუტერული ჩიპები სრულად ან დიდწილად (80%-100%) შეეძინათ Intel-სგან. აღნიშნული საქმის შეფასებისას, კომისიამ გამოიყენა „თანაბრად ეფექტიანი კონკურენტის“ (AEC) ტესტი<sup>122</sup>, რათა დაედგინა, Intel-ის მიერ დაწესებულ ფასდათმობებს შეეძლო თუ არა მოეტანა ანტიკონკურენტული შედეგი, განედევნა შესაბამისი ბაზრიდან კონკურენტები და დაეზიანებინა მომხმარებელი. <sup>123</sup>

Media-Saturn Holding (MSH)-ის შემთხვევაში, ფასდათმობები Intel-მა გარკვეულ პირობებს დაუკავშირა, კერძოდ, MSH ფასდათმობას მიიღებდა, თუკი კომპიუტერებისთვის ცენტრალურ პროცესორს შეიძენდა მხოლოდ Intel-სგან. აღნიშნული დათქმები ევროკომისიის მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევად იქნა მიჩნეული. <sup>124</sup>

ექსკლუზიურ გარიგებებთან დაკავშირებით, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ განიხილა შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ საქმე.<sup>125</sup> 2015 წლის 5 ოქტომბერს

<sup>119</sup> საქმე 85/76, Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission of the European Communities, სასამართლოს 1979 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება, § 89.

<sup>120</sup> ფასდათმობებთან დაკავშირებით, დამატებით იხ. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე 322/81, Michelin v Commission.

<sup>121</sup> საქმე T-286/09, Intel v Commission, სასამართლოს 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება.

<sup>122</sup> AEC ("as-efficient-competitor") ტესტის მიზანია დაადგინოს მოახდენს თუ არა კრიტიკული ქმედება გავლენას და განედევნის თუ არა ბაზრიდან ისეთივე კვალიფიციურ კონკურენტს, როგორც თავად დომინანტი კომპანია.

<sup>123</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტო, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თბილისი, 2018, 12, ხელმისაწვდომია: <<http://competition.ge/images/upload/gzamkvlevi.pdf>> [07/07/2019].

<sup>124</sup>MHRD Project under its National Mission on Education through ICT , Abuse of Dominant Position in US and EU, New Delhi, 14, ხელმისაწვდომია <[https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp\\_content/law/03.\\_competition\\_law/18.\\_abuse\\_of\\_dominant\\_position\\_in\\_us\\_and\\_eu\\_/et/5657\\_et\\_18et.pdf](https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp_content/law/03._competition_law/18._abuse_of_dominant_position_in_us_and_eu_/et/5657_et_18et.pdf)> [05/07/2019].

<sup>125</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება №43, 28.03.2016.

შპს „დუთი ფრი ჯორჯიამ“ მიმართა სააგენტოს სს „თბილისის თამბაქოს“ მხრიდან კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. საჩივარი ეხებოდა მისი კონტრაქტის, სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტასა და მის კონკურენტ კომპანიასთან, შპს „დუთი ფრი ალიანსთან“ ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმებას პროდუქტის მიწოდებაზე. აღნიშნული ეკონომიკური აგენტები საქმიანობდნენ ერთი და იგივე თავისუფალ სავაჭრო ზონაში (წითელი ხიდი, სადახლო და სარფი). 2015 წლის 13 ნოემბერს გამოიცა სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება № 178 შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ.<sup>126</sup>

მოკვლევის ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენდა განესაზღვრა ფლობდა თუ არა ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას სს „თბილისის თამბაქო“. აღნიშნულის დასადგენად, სააგენტომ შეისწავლა შესაბამისი ბაზარი და უპირველეს ყოვლისა პროდუქციული ბაზარი, კერძოდ, ჩანაცვლებადობის საკითხი, წარმოადგენდა თუ არა ქართული ფილტრიანი სიგარეტი ცალკე პროდუქციულ ბაზარს და იყო თუ არა ბაზარზე სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტი ჩამნაცვლებელი პროდუქცია.

მოცემულ შემთხვევაში, სააგენტომ ვერ დაადგინა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის არსებობა. ამიტომაც საჭიროდ აღარ მიიჩნია სს „თბილისის თამბაქოს“ მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საკითხის შემდგომი შესწავლა.

სააგენტომ პრევენციულად და ჰიპოთეტურად მაინც შეაფასა სს „თბილისის თამბაქოს“ მოქმედება და განსაზღვრა, რომ დომინირებული მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში ზემოხსენებული გარემოებები შესაძლოა დაკვალიფიცირებულიყო პარტნიორის შერჩევად. კერძოდ, სს „თბილისის თამბაქო“ ამარაგებდა თავისი პროდუქციით ვერტიკალურად დაკავშირებულ ბაზარზე მოქმედი ორი ეკონომიკური აგენტიდან ერთ-ერთს. აღნიშნული ქმედება აყალიბებდა დისკრიმინაციას ორ თანასწორ ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით. ამგვარად, თუ სს „თბილისის თამბაქოს“ ექნებოდა დომინირებული მდგომარეობა ეს ქმედება მიიჩნეოდა მე-6 მუხლის დარღვევად.<sup>127</sup>

<sup>126</sup> სსიპ კონკურენციის სააგენტოს ბრძანება № 43, 28.03.2016, 4.

<sup>127</sup> სსიპ კონკურენციის სააგენტოს ბრძანება № 43, 28.03.2016, 52.

რაც შეეხება ფასდათმობების სისტემას, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ განხილული საქმე აღნიშნულთან დაკავშირებით არ არსებობს, თუმცა, ევროკავშირისა და ქართული კონკურენციის სამართლის დაახლოების გათვალისწინებით, შესაძლებელია კონკურენციის სააგენტოს სავარაუდო ქმედების დადგენა.

### § 3. მიზმა, დაწყვილება<sup>128</sup>

მიზმა და დაწყვილება დომინირებულ მდგომარეობაში მყოფ ეკონომიკურ აგენტს დამატებით პრივილეგიებს ანიჭებს. მიზმა გულისხმობს შემთხვევას, როდესაც გამყიდველი ერთ კონკრეტულ პროდუქტთან მიმართებით განსაკუთრებულ ძალაუფლებას ფლობს, ამ უკანასკნელს თანდართულ საქონელს (Tying Product) უწოდებენ. ეკონომიკური აგენტი მიზმის გამოყენებით, აიძულებს მყიდველს აიღოს მეორე პროდუქტი - შეკრული საქონელი (Tied Product), რომელიც მყიდველს ან საერთოდ არ სჭირდებოდა ან უმჯობესი იქნებოდა ეყიდა სხვა მწარმოებლისგან განსხვავებული პირობებით.<sup>129</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზმის არსებობის დასადგენად შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მახასიათებელი:

- არსებობს თუ არა მოთხოვნა თანდართულ და შეკრულ საქონელზე ცალ-ცალკე;
- ფლობს თუ არა ეკონომიკური აგენტი ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას;
- შესაძლებელია თუ არა თანდართული საქონლის ყიდვა შეკრული საქონლის გარეშე;
- იწვევს თუ არა ქმედება კონკურენტებისათვის ბაზრის გადაკეტვას.

ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, მსგავსი შეთანხმება მოწესრიგებულია შერმანის აქტის პირველი სექციით. ევროკავშირში კი მიიჩნევა

<sup>128</sup> Tying, Bundling.

<sup>129</sup> OECD's Report on Abuse of Dominance and Monopolisation, Paris, 1996, 169, ხელმისაწვდომია <<http://www.oecd.org/competition/abuse/2379408.pdf>>; [06/07/2019].

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად და აქტიურად იქნა განხილული Microsoft-ის საქმეში.<sup>130</sup>

საქმეზე T-201/04<sup>131</sup> - Microsoft, როგორც კომპიუტერების საოპერაციო სისტემების (ვინდოუსის) დომინირებული მწარმოებელი, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში დადანაშაულდა, რადგან ის საოპერაციო სისტემაში წინასწარ აინსტალირებდა “Windows Media Player”-ს (WMP), რომელიც აუდიოვიზუალური მასალის მოხმარებისთვის გამოიყენება და საოპერაციო სისტემისგან განცალკევებული პროდუქტია. იგივე პრინციპით, ტექნიკურ მიზმად ჩაითვალა საძიებო სისტემის “Internet Explorer”-ის წინასწარი დაინსტალირება<sup>132</sup>. მსგავსი ქმედებით Microsoft-მა დომინირებული მდგომარეობა გაიმყარა და შეზღუდა კონკურენცია მედია ფლეიერების ბაზარზე. გარდა ამისა, პოტენციურ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ბაზარზე შესასვლელი ბარიერები დაუწესდათ. სასამართლომ, პირველ რიგში, იმსჯელა შესაბამისი ბაზრის არსებობაზე. ვინაიდან, არსებობდნენ კომპანიები, რომელთა საქმიანობასაც წარმოადგენდა მხოლოდ მედია ფლეიერების წარმოება, ცალკე უნდა განხილულიყო მედია ფლეიერის ბაზარი.

სასამართლომ დაადგინა, რომ Microsoft-ის ქმედებამ WMP ფაქტობრივად უკონკურენტო გახადა, ვინაიდან შეუძლებელი იყო მისი ოპერატიული სისტემიდან წაშლა, ეს უკანასკნელი ავტომატურად ინსტალირდებოდა სისტემაში და მომხმარებელს არჩევანის უფლებას ართმევდა გამოეყენებინათ სხვა, მათთვის უფრო ხელსაყრელი პროგრამა. მაკროსოფტი მედია ფლეიერს მომხმარებელს სრულიად უსასყიდლოდ სთავაზობდა, რაც, სასამართლოს

---

<sup>130</sup>MHRD Project under its National Mission on Education through ICT , Abuse of Dominant Position in US and EU, New Delhi, 14, ხელმისაწვდომია:

<[https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp\\_content/law/03\\_competition\\_law/18\\_abuse\\_of\\_dominant\\_position\\_in\\_us\\_and\\_eu\\_/et/5657\\_et\\_18et.pdf](https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp_content/law/03_competition_law/18_abuse_of_dominant_position_in_us_and_eu_/et/5657_et_18et.pdf)> [05/07/2019].

<sup>131</sup> საქმე T-201/04, Microsoft Corp. v Commission of the European Communities, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება (დიდი პალატა).

<sup>132</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, თბილისი, 2017, 25, ხელმისაწვდომია < <http://competition.ge> > [06/07/2019].

შეფასებით, პირდაპირ მიმართული იყო კონკურენციის შეზღუდვისკენ და ეწინააღმდეგებოდა ანტიტრასტულ კანონმდებლობას.<sup>133</sup>

დაწყვილება, მიზმისგან განსხვავებით, მოიცავს რამდენიმე განსხვავებული პროდუქტის ერთ შეკვრაში, ერთიან ფასად გაყიდვას. განასხვავებენ აუცილებელ და შერეულ დაწყვილებას, პირველი გულისხმობს, სხვადასხვა პროდუქტის მხოლოდ ერთად შექმნის საშუალებას, ხოლო მეორე შემთხვევაში, საქონელი ცალ-ცალკე იყიდება, თუმცა ერთად ყიდვისას მოქმედებს სპეციალური ფასდაკლება.<sup>134</sup>

ქართულ პრაქტიკაში მიზმასთან დაკავშირებით განხილულ საკითხთა შორის ფოთის პორტის საქმე ერთ-ერთი ყველაზე დიდი მნიშვნელობის მატარებელია.<sup>135</sup> აღნიშნულ საქმეზე კონკურენციის სააგენტომ კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევის საფუძველზე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი დაადგინა.

ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურმა“ ფოთის პორტში მოითხოვა ინტეგრირებული ტარიფის სავალდებულო წესით ამოქმედება, რაც მოიცავდა: საპორტო, სატერმინალო და გადაზიდვის მომსახურებებს. აღნიშნული სქემით, გემებიდან გადმოტვირთული და გემზე დასატვირთად განკუთვნილი ყველა კონტეინერის მომსახურება ხდებოდა ფოთის პორტის კუთვნილი სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალის (ICT ტერმინალი) გავლით.<sup>136</sup> სქემის ამოქმედებამდე, ჩამოთვლილი სამი მომსახურება ხორციელდებოდა სხვადასხვა ტარიფით, სხვადასხვა სუბიექტის მიერ. სააგენტომ აღნიშნული სქემა მიზმად მიიჩნია, რადგან კომბინირებული ტარიფის ამოქმედებას ჰქონდა სავალდებულო ხასიათი, აღნიშნული კი იწვევდა

---

<sup>133</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტო, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თბილისი, 2018, 32, ხელმისაწვდომია: <<http://competition.ge/images/upload/gzamkvlevi.pdf>> [07/07/2019].

<sup>134</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, თბილისი, 2017, 25, ხელმისაწვდომია <<http://competition.ge>> [06/07/2019].

<sup>135</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N04/91, 21.04.2017.

<sup>136</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 458, ხელმისაწვდომია:<[http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4)> [07/07/2019].

მომხმარებლის იძულებას, ერთობლივად შეეძინა სამი სხვადასხვა პროდუქტი ერთი ტარიფის ფარგლებში.<sup>137</sup>

იმის მიუხედავად, რომ კონკურენციის სააგენტომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა, აღნიშნულ საქმეში ფოთის პორტი არ დაჯარიმებულა, რადგან, ახალი სქემის ამოქმედება, სასამართლოს მიერ საქმის მოკვლევის დაწყებასთან ერთად შეჩერდა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი რეალურად არ დამდგარა. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს გადაწყვეტილება არ შესული კანონიერ ძალაში, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოში.<sup>138</sup>

აქედან გამომდინარე, კონკურენციის სამართალს დაცვითი ფუნქციაც გააჩნია და პრევენციულად ახდენს ეკონომიკური აგენტების შეჩერებას მანამდე, სანამ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ექნება ადგილი.

#### § 4. მიწოდებაზე უარი<sup>139</sup>

მიწოდებაზე უარი თავს იჩენს მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ორი დონის - ზედა და ქვედა დონის ბაზარი.<sup>140</sup> მიწოდებაზე უარი მჭიდრო კავშირშია სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპთან, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკურ აგენტს თავად აქვს უფლება აირჩიოს სასურველი კონტრაქენტი. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ არ უნდა მოხდეს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ბოროტად გამოყენება და კონკურენციის შეზღუდვა.<sup>141</sup>

მიწოდებაზე უარის არსებობის შემთხვევაში, ზედა დონის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი საერთოდ უარს ამბობს ქვედა დონის ბაზრის მონაწილეებისთვის საჭირო პროდუქციის

<sup>137</sup> იქვე 459.

<sup>138</sup> იქვე, 462.

<sup>139</sup> Refusal to Supply.

<sup>140</sup> Ezrachi A., EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases, 3 rd ed., Hart Publishing, 2012, 170.

<sup>141</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 442, ხელმისაწვდომია: <[http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4) > [07/07/2019].



მიწოდებაზე. აღნიშნული ქმედება მე-6 მუხლის საწინააღმდეგოდ ითვლება, თუკი სრულად ან მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას.<sup>142</sup>

მიწოდებაზე უარის არსებობა დგინდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების საფუძველზე:

- ფაქტობრივი მოცემულობის - ეკონომიკური აგენტის მხრიდან მიწოდებაზე უარის არსებობა;<sup>143</sup>
- ზემოაღნიშნული აგენტის დომინირებულ მდგომარეობაში ყოფნა;
- ქვედა დონის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის ბაზარზე ოპერირებისთვის აუცილებელი პროდუქციის მიწოდებაზე უარი;
- ზღუდავს თუ არა მიწოდებაზე ან დაშვებაზე უარი კონკურენციას ქვედა დონის ბაზარზე.<sup>144</sup>
- ყველა გარემოების კუმულატიურად არსებობის შემთხვევაში, დამატებით მოწმდება, ხომ არ არსებობს მიწოდებაზე ან დაშვებაზე უარის ობიექტური გამამართლებელი გარემოებები.<sup>145</sup>

---

<sup>142</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტო, გზამკვლევი დოკუმენტი, ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, 2017, 25, ხელმისაწვდომია:

<http://competition.ge/images/upload/%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98.pdf>,

[07/07/2019].

<sup>143</sup> კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები აღსრულებისას პრიორიტეტების დადგენასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების 82-ე მუხლის შეფარდებისას ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებში, OJ C 45/7, 24.02.2009, პარ 79.

<sup>144</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 443, ხელმისაწვდომია: [http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWijZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsGnVfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWijZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsGnVfZHpOEby4) > [07/07/2019].

<sup>145</sup> კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები აღსრულებისას პრიორიტეტების დადგენასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების 82-ე მუხლის შეფარდებისას ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებში, OJ C 45/7, 24.02.2009, პარ 83.

მიწოდებაზე უართან დაკავშირებით, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან მიმართებით შეაფასა ფოთის პორტის ქმედება.<sup>146</sup>

ფოთის პორტის საქმეზე საპორტო მომსახურება კონკურენციის სააგენტომ შეაფასა, როგორც აუცილებელი პროდუქტი, რომლის გარეშეც, ქვედა დონის ბაზარზე მოქმედი კომპანიები ვერ განახორციელებდნენ სატერმინალო მომსახურებას ტვირთზე. აქვე სააგენტომ იმსჯელა ობიექტურ გამამართლებელ გარემოებებზე, თუმცა „უსაფრთხოების წესების გაუმჯობესება“ არ მიიჩნია კონკურენციის შეზღუდვის მიზეზად.<sup>147</sup>

ფოთის პორტის საქმეზე საქართველოს კონკურენციის სააგენტომ ევროკომისიის მიერ განხილული საქმეების პრაქტიკის მიხედვით იმოქმედა.

ევროკომისიის მიერ განხილულ საქმეში 94/19/EC<sup>148</sup>, Sealink-ი წარმოადგენდა დომინანტ ეკონომიკურ აგენტს შესაბამის ბაზარზე. დამატებით, კომისიამ იმსჯელა, რომ პორტის ნავსადგურის სპეციფიური ობიექტების ძირითად საშუალებებთან დაშვებაზე უარით, Sealink-მა კომპანია B&I-ის წართვა საშუალება, გაეწია საბორნე მომსახურება ჰოლიჰედის პორტსა და ირლანდიას შორის, რითაც B&I-ს შეეზღუდა ამ მარშრუტით დადგენილი მომსახურების ბაზარზე მონაწილეობის უფლება. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.<sup>149</sup>

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის განხილულ იქნა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ყველაზე გავრცელებული ფორმები, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს სრულ ჩამონათვალს. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შეიძლება გამოიხატოს სხვა ნებისმიერ ქმედებაში, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი ბაზრიდან კონკურენტების განდევნასა და მომხმარებლის დაზიანებას.

<sup>146</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, ბრძანება №04/91, 21.04.2017.

<sup>147</sup> აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, 444-445, ხელმისაწვდომია: <[http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWijZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWijZ4Rlwy3XoeRZeZIfuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4) > [07/07/2019].

<sup>148</sup> Sea Containers v. Stena Sealink - Interim measures, საქმე IV/34.689, კომისიის 1993 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, 94/19/EC.

<sup>149</sup> კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის ადმინისტრაციის და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, 2018, 42.

#### 4. ნაწილი

#### სანქციები კონკურენციის შემზღვეველი ქმედებისთვის

სანქციასთან მიმართებით, გასათვალისწინებელია კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მიზნები, რომელიც მოიცავს, საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციას, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობასა და კონკურენციის არამართლზომიერი შეზღვევისაგან დაცვას. კანონით გათვალისწინებული მიზნები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესრულდება, თუკი ჯარიმას საკმარისი პრევენციული ეფექტი ექნება.<sup>150</sup>

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი აწესებს ფინანსურ სანქციას, კერძოდ, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს, ეკონომიკურ აგენტზე ჯარიმის დაკისრებას, რომლის ოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 %-ს.<sup>151</sup> დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10 %-ს.<sup>152</sup>

სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულია ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის თანახმადაც, ჯარიმის ოდენობის გამოთვლა ხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება ჯარიმის ზოგადი საზღვრების დადგენა, რაც გულისხმობს, წინა ფინანსური წლის განმავლობაში, კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტის ბრუნვის 5%-ის დადგენას. მეორე ეტაპი კი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობის პროპორციულობას ადგენს, რაც განისაზღვრება ეკონომიკური აგენტის ქმედების დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებების ობიექტური შეფასებით.<sup>153</sup>

<sup>150</sup> სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 ნოემბრის №190 ბრძანება „ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ“, თავი I, 2.

<sup>151</sup> კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი.

<sup>152</sup> სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 ნოემბრის №190 ბრძანება „ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია: <http://competition.ge/ge/page3.php?i=190&v=192>, [07/07/2019].

<sup>153</sup> იქვე, თავი II.

საინტერესოა, რომ სამართალდამრღვევი პირისათვის ჯარიმის ოდენობის გამოითვლება წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვიდან, და არა სამართალდარღვევის შედეგად, იმავე პერიოდში რეალიზებული საქონლის ან მომსახურების ოდენობიდან.<sup>154</sup>

კონკურენციის სააგენტო, სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევას, ინდივიდუალურად აფასებს და მხედველობაში იღებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა: უკანონო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანი, კონკურენციის შემზღვეველი ქმედების სიმძიმე და ხანგრძლივობა, სამართალდარღვევის ფორმა, მოტივაცია და ეკონომიკური აგენტის ქცევა კანონდარღვევის განხორციელების შემდეგ. ჯარიმის ოდენობის დადგენისას, სააგენტო ასევე ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტის ფინანსურ მდგომარეობას, თუმცა ის ფაქტი, რომ კონკურენციის შემზღვეველი ქმედების განხორციელების შედეგად თავად სამართალდამრღვევ პირსაც მიადგა ზიანი, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან.<sup>155</sup>

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი ჯარიმის გარდა ასევე ითვალისწინებს განსხვავებული სანქციის ფორმას, კერძოდ, კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას მისი იძულებითი დაყოფის საკითხი, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა, ან განახორციელოს კონკურენციის პოლიტიკით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.<sup>156</sup> სანქციის ეს ფორმა საკმაოდ პრობლემატურია და ამ ეტაპზე უცნობია რა პროცედურების დაცვით უნდა იმოქმედოს კონკურენციის სააგენტომ ამ უკანასკნელის პრაქტიკაში განსახორციელებლად.

კონკურენციის სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის დაწყებას შეიძლება მხოლოდ ორი შედეგი ჰქონდეს, კერძოდ, დადგინდეს დარღვევის ფაქტი და განისაზღვროს

---

<sup>154</sup> იქვე, თავი II 5.

<sup>155</sup> იქვე, II-III თავები.

<sup>156</sup> საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 18, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ლ“.

შესაბამისი სანქცია, ან მოკვლევის შედეგად არ დადგინდეს კანონდარღვევის ფაქტი.<sup>157</sup>

აღნიშნულისგან განსხვავებით, ევროკავშირის სამართალი ითვალისწინებს პირობითი გადაწყვეტილების ინსტიტუტს, რომელიც ეკონომიკურ აგენტს საშუალებას აძლევს, გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში, კომისიამ საქმის შესწავლა დაასრულოს დარღვევის დადგენის გარეშე.<sup>158</sup>

სასურველია მსგავსი ცვლილების კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში შეტანა, რაც კონკურენციის სააგენტოს უფრო ფართო არეალით მოქმედების საშუალებას მისცემდა.

თუკი საქართველოს კანონის 33-ე მუხლით დადგენილ ჯარიმას შევადარებთ ევროკავშირის ანტიტრასტული კანონმდებლობის დარღვევისთვის დადგენილი სანქციების ოდენობას, ნათელი გახდება, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად აღემატება პირველს.<sup>159</sup>

კომისიის პოლიტიკა კონკურენციის სამართალთან დაკავშირებით ძირითადად მიმართულია კანონის დარღვევის პრევენციისკენ. გარდა ამისა, კომისია მუდმივად აქვეყნებს ვრცელ სახელმძღვანელო პრინციპებს თუ როგორ უნდა დაიცვან კომპანიებმა კანონი. კანონდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, კომისია განსაზღვრავს შესაბამის ჯარიმას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს პრევენცია, დასჯა და შეზღუდვა.<sup>160</sup>

შესაბამისი სანქციის განსაზღვრისას, კომისია მოქმედებს სახელმძღვანელო პრინციპებით დადგენილი პროცედურის მიხედვით. პირველ რიგში კომისია ადგენს კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტის ამოსავალ რაოდენობას,

---

<sup>157</sup>აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019, ხელმისაწვდომია: <[http://newvision.ge/sites/default/files/comp\\_book\\_color\\_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4](http://newvision.ge/sites/default/files/comp_book_color_final.pdf?fbclid=IwAR1cXmFWiJZ4Rlwy3XoeRZeZifuOEhoVHh4vcGXsqeHyxsZGNvfZHpOEby4)> [07/07/2019], 470.

<sup>158</sup> საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია No. 1/2003, ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლებით გათვალისწინებული კონკურენციის წესების შესრულების შესახებ, OJ L1/1, 2003, Article 9.

<sup>159</sup>Antitrust procedures in abuse of dominance (Article 102 TFEU cases), ხელმისაწვდომია: <[http://ec.europa.eu/competition/antitrust/procedures\\_102\\_en.html](http://ec.europa.eu/competition/antitrust/procedures_102_en.html)>, [07/07/2019].

<sup>160</sup> Fines for breaking EU Competition Law, ხელმისაწვდომია: <[http://ec.europa.eu/competition/cartels/overview/factsheet\\_fines\\_en.pdf](http://ec.europa.eu/competition/cartels/overview/factsheet_fines_en.pdf)>, [07/07/2019].

მხოლოდ ამის შემდეგ გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს ამოსავალი რაოდენობა.<sup>161</sup>

ჯარიმის ამოსავალი რაოდენობა (Basic Amount) დგინდება ეკონომიკური აგენტის გაყიდვების ღირებულების მიხედვით. გაყიდვების ღირებულება დგინდება იმ გაყიდული პროდუქციიდან მიღებული შემოსავლის შესაბამისად, რომელთან დაკავშირებითაც იკვეთება კანონდარღვევა. გაყიდული პროდუქციის ოდენობა, როგორც წესი, ფასდება უკანასკნელი 1 წლის მონაცემებით.<sup>162</sup> აღნიშნული კრიტერიუმი განსხვავდება ქართული მოწესრიგებისგან.

შემოსავალთან ერთად, კომისია მხედველობაში იღებს დარღვევის სიმძიმესა და ხანგრძლივობას. სანქციის დადგენისას, მკაცრად ფასდება ეკონომიკური აგენტის/აგენტების საბაზრო წილი, დარღვევის გეოგრაფიული ფარგლები, ამასთან, მნიშვნელობა აქვს რა გზით დაარღვია ეკონომიკურმა აგენტმა კანონმდებლობა, მაგალითისთვის, ჰორიზონტალური ფასის დადგენა და ბაზრის გაყოფა წარმოადგენს კონკურენციის შემზღვეველ ერთ-ერთ ყველაზე საზიანო ქმედებას, შესაბამისად, უმკაცრესადაც ისჯება.<sup>163</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ევროკომისიის მიერ განსაზღვრული ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის განმავლობაში მთელი მიმოქცევის 10%-ს.<sup>164</sup>

## 5. ნაწილი

### სამომავლო გამოწვევები და ქართულ კანონმდებლობაში გასახორციელებელი ცვლილებები

2019 წლის 19 ივნისს საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს კანონის პროექტი, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე.<sup>165</sup> აღნიშნული კანონპროექტის განმარტებითი ბარათი

---

<sup>161</sup> სახელმძღვანელო პრინციპები No 1/2003 (2006/C 210/02) რეგულაციის 23(2)(a) მუხლის შესაბამისად ჯარიმის განსაზღვრის მეთოდების დადგენის თაობაზე, სექცია 10-11, ხელმისაწვდომია: < [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC0901\(01\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52006XC0901(01)&from=EN)>, [07/07/2019].

<sup>162</sup> იქვე, სექცია 13.

<sup>163</sup> იქვე, სექცია 21-22.

<sup>164</sup> იქვე, სექცია 32.

<sup>165</sup> საქართველოს პარლამენტი, კანონპროექტი № 07\_3/373/9, ხელმისაწვდომია: < <https://info.parliament.ge/#law-drafting/18442>>, [07/07/2019].



საკმაოდ ვრცელია და ითვალისწინებს ყველა იმ ძირითად მიზეზს, რის გამოც აუცილებელია კანონის მოდიფიცირება.

განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ კანონი შეიცავს მრავალ სისტემურ თუ პროცედურულ ხარვეზს, რაც ართულებს კონკურენციის სააგენტოს მოქმედებას პრაქტიკაში, შესაბამისად, კანონპროექტის თანახმად გამოყოფილია ის ძირითადი სფეროები, სადაც აუცილებელია ცვლილებების განხორციელება:<sup>166</sup>

- აუცილებლობას წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული აღსრულების მექანიზმების მოდიფიცირება - ინფორმაციის მოწოდება არ არის სავალდებულო, ძალიან მცირეა მოკვლევის ვადები, მხარეთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით პროცედურული ნორმები არასრული ხასიათისა;
- არაეფექტური და გაუმართავია სააგენტოსა და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს თანამშრომლობის ფარგლები, პრობლემურია მათ კომპეტენციის გამიჯვნის საკითხი;
- არასრულყოფილია სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული საკითხები და ვადები, სააგენტოს უფლებამოსილებები აღნიშნულ უწყებებთან მიმართებით;
- სააგენტოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ ერთადერთ პირს, მაშინ როდესაც, სასურველია, საკითხის გადაწყვეტის უფლების მქონე ორგანო იყოს კოლეგიური. ასევე, უნდა მოხდეს საქმის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების ურთიერთგამიჯვნა.<sup>167</sup>

განსახორციელებელი ცვლილებების ჩამონათვალში მითითებულია, რომ ტერმინი „დომინირებული მდგომარეობა“ მთელ კანონში უნდა შეიცვალოს „დომინანტური მდგომარეობით, გარდა ამისა, ტერმინოლოგიურ ცვლილებასთან ერთად, მისასაღმებელია, რომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მე-5 მუხლში განხორციელდება მითითება, რომ ბაზრის ანალიზის დროს მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ საბაზრო წილი

---

<sup>166</sup> განმარტებითი ბარათი კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2019, 2, ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224612?>>, [07/07/2019].

<sup>167</sup> იქვე.

(ეკონომიკური აგენტის და მისი კონკურენტების), არამედ, საბაზრო ძალაუფლებაც. ასევე, ბაზარზე წარმოების გაფართოების ბარიერები.<sup>168</sup>

კანონპროექტის მიხედვით, ასევე იცვლება სააგენტოს გარკვეული უფლებამოსილებები, კერძოდ, კანონის მე-18 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სააგენტოს უფლება, „მიზანშეწონილობის შემთხვევაში აწარმოოს კვლევა დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების დასადგენად, შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით,“ წარმოადგენს პრაქტიკულად გამოუყენებელ ნორმას. აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების მიზნით კონკრეტდება, რომ სააგენტო უფლებამოსილია კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოსავლენად, განახორციელოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრების მონიტორინგი.<sup>169</sup>

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი კიდევ ერთ პრობლემას უსვამს ხაზს, კერძოდ, საქმის მოკვლევისთვის გამოყოფილ დღეს არსებულ ვადას - 10 თვეს. ისეთი საკითხის განხილვისას, როგორცაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, სააგენტოს ხშირად უხდება ბაზრის მასშტაბური კვლევა, რისთვისაც 10 თვე საკმარისი არ არის. ეკონომიკური აგენტები, ვადებთან დაკავშირებით, ასევე აპელირებენ იმ საკითხზე, რომ არ მიეცათ სათანადო საშუალება აღნიშნულ დროში დაეცვათ თავი.<sup>170</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკომისიას და სხვა წამყვანი კონკურენციის სამართლის ქვეყნებს აქვთ საქმის მოკვლევისთვის შეუზღუდავი ვადა. წინამდებარე კანონპროექტით შემოთავაზებულია მხარეთა პოზიციის მოსასმენად 45 დღიანი ვადა, ხოლო მოკვლევისთვის დადგენილია განხილვის 6 თვე, რომელიც, საქმის სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.<sup>171</sup>

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, იცვლება სააგენტოს მმართველობითი სტრუქტურა. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს

---

<sup>168</sup> იქვე, 5.

<sup>169</sup> იქვე, 21.

<sup>170</sup> იქვე, 27.

<sup>171</sup> იქვე.

სააგენტოს თავმჯდომარე, რომელიც თავიდანვე არის ჩართული მოკვლევის პროცესში, იცნობს საქმის მიმდინარეობას და ამასთან, წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ პირსაც. ცვლილებების თანახმად კი, სააგენტოს მართვის ორგანო იქნება საბჭო, რომელიც შედგება 5 წლის ვადით არჩეული 5 წევრისგან.<sup>172</sup>

საბოლოო ჯამში წარმოდგენილი კანონპროექტი შესაძლებელია დადებითად შეფასდეს, თუმცა მიმაჩნია, რომ სააგენტოს კოლეგიურ ორგანოდ ქცევა გადაწყვეტი არ არის კანონის პრაქტიკაში სათანადოდ მოქმედებისთვის და ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გაუმართლებელ გავლენას მოახდენს.

## დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური აგენტის მიერ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება თითქმის ყოველთვის სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ასევე მომხმარებელს. მსოფლიო ქვეყნების კანონმდებლობა თანხმდება იმაზე, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის გარეშე წარმოუდგენელია.

წინამდებარე ნაშრომში ძირითადად ხაზი გაესვა ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ანტიტრასტულ კანონმდებლობებს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს, განიმარტა კანონში გამოყენებული ტერმინოლოგია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითზე.

აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ფარგლებში, საქართველოს კანონით გათვალისწინებული დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სამართლებრივ რეგულირებასა და ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს შორის შესაბამისობის დადგენისას გარკვეული პრობლემები გამოიკვეთა.

სასურველია, შემუშავდეს ცალკე სახელმძღვანელო პრინციპები შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისთვის, ვინაიდან სააგენტოს მიერ განხილულ საქმეთაგან

---

<sup>172</sup> 2020 წლიდან, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ნაცვლად ხუთ კაციანი საბჭო უხელმძღვანელებს, ხელმისაწვდომია: < <https://www.bpn.ge/article/57647-2020-clidan-konkurenciis-saagentos-tavmjdmaris-nacvlad-5-kaciani-sabcho-uxelmzgvanelebs/> >, [07/07/2019].

უმრავლესობაში ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის დადგენა ვერ მოხერხდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ბოროტად გამოყენებაზე. ამჟამად არსებული მეთოდური სახელმძღვანელოები მოიცავს აშშ-სა და ევროკავშირის პრაქტიკას, თუმცა, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი და აშშ-ს კონკურენციის სამართალი ბევრ ასპექტში განსხვავდება ერთმანეთისგან.

სააგენტოს არაეფექტურობა ზემოაღნიშნული მიზეზების გარდა, შესაძლოა ასევე გამოწვეული იყოს საქმის განხილვისთვის გამოყოფილი კანონით გათვალისწინებული მცირე ვადით.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, სააგენტოს კი კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით 2014 წლიდან დღემდე მხოლოდ რამდენიმე საქმე აქვს განხილული, რომელთაგან, ყველაზე გახმაურებული, ამჟამად სასამართლოში გასაჩივრებული, ფოთის პორტის საქმეა.

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ ახალი კომბინირებული ტარიფის (ე.წ. ახალი სქემა) სავალდებულო წესით შემოღების მცდელობა მიჩნეულ იქნა კანონმდებლობის დარღვევად, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სქემა არ იყო ამოქმედებული და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი არ იყო რეალურად დამდგარი, სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიმართ არ დადგინდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი. ამის მიუხედავად, არსებული მწირი პრაქტიკა არ ნიშნავს, რომ შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა არ არის ბოროტად გამოყენებული.

მოქმედი კანონის კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილების შეზღუდული არეალი. კერძოდ, კონკურენციის კანონმდებლობის დაცვის კონტროლი არ ერევა ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში, როგორცაა, საბანკო, ენერგეტიკისა და წყალმომარაგებისა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორები. ამ სფეროებში კონკურენციის დარღვევის თაობაზე მიღებულ კორესპონდენციას სააგენტო უგზავნის შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს და მხოლოდ მისი თხოვნით, კონსულტაციის დონეზე შეიძლება ჩაერთოს საკითხის განხილვის პროცესში. ამასთან, ამ სფეროების ნაწილში კონკურენციის აღსრულება საკანონდებლო ნორმების არ არსებობის

გამო, არ ხდება.<sup>173</sup> აუცილებელია კონკურენციის სააგენტო ჩართული იყოს მსგავს სექტორებში და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათით არ შემოიფარგლებოდეს.

ქართული კონკურენციის სამართალი დღეის მდგომარეობით წარმოადგენს ორი სხვადასხვა მოწესრიგების გარკვეულ ნაზავს, რაც კონკურენციის შესახებ კანონშივე იწვევს უზუსტობებს. პრობლემის გამოსასწორებლად სასურველია, კანონი უფრო მეტად დაეყრდნოს ევროკავშირის მეთოდოლოგიას. მსგავსი ქმედებები დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევების აღმოჩენას ბევრად მოქნილს გახდის, ვინაიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი და TFEU-ს 102-ე მუხლი ფაქტობრივად იდენტურია.

უმთავრესი პრობლემა მაინც სააგენტოს პრაქტიკულ საქმიანობაში იკვეთება. კანონის მოდიფიცირებით ვერ მიიღწევა სასურველი შედეგი თუკი არ მოხდა მისი პრაქტიკაში განხორციელება. აუცილებელია, რომ საქართველოს კონკურენციის სააგენტომ მეტი გამოძიება და ბაზრის კვლევა საკუთარი ინიციატივით აწარმოოს.

---

<sup>173</sup> განმარტებითი ბარათი კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2019, 29, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224612?>, [07/07/2019].

## ბიბლიოგრაფია

### ნორმატიული მასალა:

- საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ;
- საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ;
- საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ;
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის;
- კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანება ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე;
- სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 ნოემბრის №190 ბრძანება ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს პარლამენტი, კანონპროექტი 07\_3/373/9;
- ამერიკის შეერთებული შტატების 1890 წლის შერმანის ანტიტრასტული აქტი;
- ამერიკის შეერთებული შტატების 1914 წლის 15 ოქტომბრის კლეიტონის ანტიკონკურენციული აქტი;

### ლიტერატურა:

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ტიგრანიანი ჰ., ქურთაული ს., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა: საქართველოს, სომხეთის და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობების შედარებითი ანალიზი № 5;
- აკოლაშვილი მ., სერგია ნ., საქართველოს კონკურენციის სამართალი, თბილისი, 2019;
- მენაბდიშვილი ს., კარტელის არსი და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები (განსაკუთრებით კონკურენციის სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2016;
- კრეინერ რ. მ., შეერთებული შტატებისა და საქართველოს კონკურენციის სამართლის შედარებითი ანალიზი: ცალმხრივი აქტებისა და ჰორიზონტალური შეთანხმებების რეგულირება პროგნოზირებადი



წესებისა და ეფექტური აღსრულების მეშვეობით, ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, III გამოცემა, 2014;

- ლექვინაძე ი., ეკონომიკური პოლიტიკის და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გავლენა კონკურენციაზე საქართველოში, თბილისი, 2015;
- Frank H. Easterbrook, Vertical Arrangements and the Rule of Reason, Vertical Restraints: Part II 53 Antitrust Law Journal 135 (1984) Journal of Reprints for Antitrust Law and Economics, Vol. 20, Issue 2 (1990), pp. 381-422.
- Diane P. Wood, The U.S. Antitrust Laws in a Global Context, Columbia Business Law Review, 2004;
- 1 ABA Section of Antitrust Law, American Bar Association, Antitrust Law Developments, 6th ed. 2007;
- MHRD Project under its National Mission on Education through ICT , Abuse of Dominant Position in US and EU, New Delhi;
- Rudman D., Ostrovsky S., Dominance test: a superfluous jurisdictional hurdle?, South Africa, 2010;
- Werth, Robert W., Determination of the Relevant Product Market, Ohio State Law Journal, vol. 26, no. 2, 1965;
- Whish R., Bailey D., Competition Law, 7<sup>th</sup> Ed., Oxford University Press, 2012;
- Anti-Trust Law: The Impact of the Cellophane Case on the Concept of Market, Indiana Law Journal: Vol. 32, 1957;
- Rodger B., MacCulloch A., Competition Law and Policy in the EC and UK, 2009;
- Behrens P., The ordoliberal concept of "abuse" of a dominant position and its impact on Article 102 TFEU, Discussion Paper, No. 7/15, Europa-Kolleg Hamburg, Institute for European Integration, Hamburg, 2015.
- Marginean M., Positive and negative aspects analysis in abuse of dominance, Doctoral School of Economics and Bussines Administration, 2017;
- O'Donoghue R., Padilla J., The Law and Economics of Article 102, TFEU, 2014.
- Ezrachi A., EU Competition Law: An Analytical Guide to the Leading Cases, 3 rd ed., Hart Publishing, 2012

#### სასამართლო გადაწყვეტილებები:

- United States v. Topco Assocs., Inc., 405 U.S. 596, 1972;
- Hartigan v. Panhandle E. Pipe Line Co., 730 (C.D. Ill. 1990);
- United States v. Grinnell Corp., 384 U.S. 563 (1966);

- U.S. v. E.I. du Pont de Nemours & Co. 351 U.S. 377 (1956).
- United States v. Aluminum Co. of America, 377 U.S. 271 (1964).
- United States v. Continental Can Co., 378 U.S. 441 (1964).
- Times-Picayune Pub. Co. v. United States, 345 U.S. 594 (1953).
- საქმე C-41/90, Klaus Höfner and Fritz Elser v Macrotron GmbH., სასამართლოს 1991 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება (მეექვსე პალატა), § 21.
- საქმე T-193/02, Laurent Piau v Commission of the European Communities, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება (მეოთხე პალატა).
- საქმე 6-72, Europemballage Corporation and Continental Can Company Inc. v Commission of the European Communities, სასამართლოს 1973 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.
- გაერთიანებული საქმე 6 და 7-73, Istituto Chemioterapico Italiano S.p.A. and Commercial Solvents Corporation v Commission of the European Communities, სასამართლოს 1974 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება.
- საქმე 85/76, Hoffmann-La Roche & Co. AG v Commission of the European Communities, სასამართლოს 1979 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება.
- საქმე C-23/14, Post Danmark A/S v Konkurrencerådet, სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება (მეორე პალატა).
- საქმე C-62/86, - AKZO Chemie BV v Commission of the European Communities, სასამართლოს 1991 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება.
- საქმე C-333/94, Tetra Pak International SA v Commission of the European Communities, სასამართლოს 1996 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება.
- საქმე T-201/04, Microsoft Corp. v Commission of the European Communities, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება (დიდი პალატა).
- საქმე T-286/09, Intel v Commission, სასამართლოს 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება.

#### **ევროკომისიისა და კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებები:**

- საქმე 27/76, United Brands Company and United Brands Continentaal BV v Commission of the European Communities, სასამართლოს 1978 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება;
- საქმე 322/81, Nederlandsche Banden-Industrie Michelin NV v EC Commission [1983] ECR 3461;

- Virgin/British Airways საქმე IV/D-2/34.780 ევროკომისიის 1999 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება 2000/74/EC.
- Sea Containers v. Stena Sealink - Interim measures, საქმე IV/34.689, ევროკომისიის 1993 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, 94/19/EC.
- საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება №148, 12.10.2015;
- საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება №31, 04.03.2015;
- საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება № 43, 28.03.2016;
- საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ბრძანება N04/91, 21.04.2017.

#### დამხმარე მასალა:

- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გზამკვლევი, თბილისი, 2014;
- საქართველოს კონკურენციის სააგენტოს გზამკვლევი დოკუმენტი, ეკონომიკური აგენტების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები, თბილისი, 2017;
- საქართველოს კომურენციის სააგენტო, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის რიგი დებულებების განმარტება ევროკავშირის აღმასრულებელი და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თბილისი, 2018;
- განმარტებითი ბარათი კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე, 2019.
- OECD's Report on Abuse of Dominance and Monopolisation, Paris, 1996;
- Glossary of terms used in EU competition policy Antitrust and control of concentrations, Directorate-General for Competition, Brussels, 2002;
- WIPO-ს შესაბამისი ბაზრის განმარტების სახელმძღვანელო;
- Official Journal of the European Communities, C 372, 1997;
- Khemani R. S., Shapiro D. M., OECD, Glossary of Industrial Organisation Economics and Competition Law Organisation for Economic Co-Operation and Development;
- კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები აღსრულებისას პრიორიტეტების დადგენასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების 82-ე მუხლის შეფარდებისას ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებში, OJ C 45/7, 24.02.2009;

- საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია No. 1/2003, ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლებით გათვალისწინებული კონკურენციის წესების შესრულების შესახებ, OJ L1/1, 2003, Article 9.
- სახელმძღვანელო პრინციპები No 1/2003 (2006/C 210/02) რეგულაციის 23(2)(a) მუხლის შესაბამისად ჯარიმის განსაზღვრის მეთოდების დადგენის თაობაზე.

**ინტერნეტ რესურსები:**

- გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №50 (323), 1992, ხელმისაწვდომია: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0preziden--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.11&d=HASHc1a6dcdf3c672c2602da12> >.
- 2020 წლიდან, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ნაცვლად 5-კაციანი საბჭო უხელმძღვანელებს, ხელმისაწვდომია: <https://www.bpn.ge/article/57647-2020-clidan-konkurenciis-saagentos-tavmjdomaris-nacvlad-5-kaciani-sabcho-uxelmzgvanelebs/> >.